ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 128-129 (20170) — პარასკევი, 3 ივნისი, 1988 წელი. — ფასი 5 კაპ.

# საბჭოთა კავშირ-ამერიკის დიალოგი



საუბრის დაწყების წინ.

საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

**1 ივნისს** კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის საბოლოო საუბარი. დასრულდა განიარაღების, რეგიონული კონფლიქტების, ორმხრივი ურთიერთობის ფართო წრის პრობლემებისა და ჰუმანიტარული საკითხების განხილვა.

საუბრის შემდეგ კრემლში გაიმართა ცერემონია, რომლის დროსაც მ. ს. გორბაჩოვმა და რ. რეიგანმა გაცვალეს საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულების სამოქმედოდ შემოღების სარატიფიკაციო სიგელები და ხელი მოაწერეს ოქმს ამ სიგელების გაცვლის თაობაზე. ისტორიული დოკუმენტი, რომელსაც ორი ქვეყნის ხელმძღვანელებმა 1987 წლის დეკემბერში მოაწერეს ხელი ვაშინგტონში, ძალამოსილი გახდა.

ხელმოწერის შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა და რ. რეიგანმა სიტყვები წარმოთქვეს.

ცერემონიაზე იყვნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — ა. ა. გრომიკო, ნ. ი. რიჟკოვი, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, ა. ნ. იაკოვლევი, ი. კ. ლიგაჩოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, ვ. მ. ჩებრიკოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, დ. ტ. იაზოვი, ი. დ. მასლიუკოვი, გ. პ. რაზუმოვსკი, ნ. ვ. ტალიზინი, ო. დ. ბაკლანოვი, ა. პ. ბირიუკოვა, ა. თ. დობრინინი, ა. ი. ლუკიანოვი, ვ. ა. მედვედევი, ი. ვ. კაპიტონოვი და სხვა ოფიციალური პირები.

ამერიკის მხრივ — ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი და პრეზიდენტის თანმხლები სხვა ოფიციალური პირნი.

ამავე დღეს მ. ს. გორბაჩოვმა საგარეო საქმეთა პრესცენტრში პრესკონფერენცია გაუმართა საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებს.

ამერიკის პრეზიდენტმა შეერთებული შტატების ელჩის რეზიდენციაში მასობრივი ინფორმაციის საშუალების საბჭოთა და უცხოეთის წარმომადგენლებისათვის მოაწყო პრესკონფერენცია.

საღამოს რ. რეიგანი მეუღლითურთ სსრ კავშირის დიდ თეატრში დაესწრო ბალეტის საღამოს.

მასთან ერთად ცენტრალურ ლოჟაში იყო მ. ს. გორბაჩოვი მეუღლითურთ.

ცენტრალურ ლოჟას ამშვენებდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმები.

სპექტაკლს დაესწრნენ ა. ნ. იაკოვლევი, ე. ა. შევარდნაძე, ა. თ. დობრინინი, ჯ. შულცი, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი ფ. კარლუჩი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში კ. პაუელი, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის სხვა ოფიციალური პირნი. (საქდესი).

# გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

### სამკონფერენციო ვახტი

#### მშვიდობა მსოფლიოს ბავშვებს

**ბავშვთა** დაცვის საერთაშორისო დღეს — 1 ივნისს, მოსკოვში საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის მეთვალყურეობის საერთაშორისო საზოგადოებრივ ცენტრში გაიმართა ბავშვთა ლამაზი დღესასწაული. მისმა მონაწილეებმა — დედაქალაქის მოსწავლეებმა და მათმა უცხოელმა თანატოლებმა — მხურვალედ განაცხადეს, რომ ისწრაფვიან იცხოვრონ მშვიდობიანად და მეგობრულად.

ბავშვთა საერთაშორისო ორგანიზაციამ „მშვიდობის ფრინველები“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რ. რეიგანს მოუმზადა სხვადასხვა ქვეყნის ბავშვთა ნახატებისა და წერილების დიდი გამოფენა.

▼ ▼

#### ლაგოდეხელთა წვლილი

**ლაგოდეხის** რაიონი, რომელიც ცნობილია თავისი ვრცელი ზვრებით, ახალ „პროფესიას“ იძენს — ხდება საადრეო ბოსტნეულის მიმწოდებელი. ღია გრუნტში მოყვანილი კიტრის პირველი პარტიები მიაწოდა დედაქალაქის მაღაზიებს სოფელ ყარსუბნის კოლმეურნეობამ.

XIX პარტიული კონფერენციის აღსანიშნავ შრომით ვახტზე მდგომ ლაგოდეხელებს წელს ნავარაუდევი აქვთ საზოგადოებრივ მეურნეობებში დაამზადონ 2300 ტონა, მოსახლეობაში — 3500 ტონა კიტრი.

**ამ დღეებში რესპუბლიკის დედაქალაქში რაიონის კოლმეურნეობები ყოველდღიურად გზავნიან 15-20 ტონა საადრეო კიტრს.**

▼ ▼

#### მძღოლთა სიტყვა და საქმე

**საწარმოო გაერთიანება „შიათურმანგანუმის“ ავტოსატრანსპორტო მეურნეობის მძიმეწონიანი თვითმცლელი ავტომანქანის ოცდახუთმა მძღოლმა იკისრა ვალდებულება ხუთწლედის სამი წლის დავალება შეასრულოს XIX პარტიული კონფერენციის გახსნის დღისათვის.**

ვალდებულება უკვე შეასრულა მძღოლმა თამაზ ჩიჩილაძემ, რომელმაც 103 ათასი ტონის ნაცვლად 132 ათასი ტონა ტვირთი გადაზიდა. თ. ჩიჩილაძეს ტოლს არ უდებენ მძღოლები — ძმები, კომუნისტები ავთანდილ და ამირან აბესაძეები, კომკავშირელი ბადრი მახათაძე, შრომის ვეტერანი გიორგი ბარათაშვილი, თენგიზ მამაცაშვილი, იური მიროტაძე, იუზა ფაჭყარაშვილი, ნოდარ გურგენიძე, კოტე ერგემლიძე, მერაბ ჯანაშია და სხვები.

დღის დამდეგიდან ავტომძღოლებმა გადაიტანეს 5424 ათასი ტონა ტვირთი, რაც 714 ათასი ტონით აღემატება შარშანდელ შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

▼ ▼

#### შედეგიანად იბრძვიან

**ტყიბული.** (საქ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის შახტის მოწინავე კოლექტივმა ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება დევიზით — „ღირსეული შეხვედრა XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციას“ და ახალ წარმატებას მიაღწია. ორჯონიკიძელებმა ვადაზე შვიდი დღით ადრე, 24 მაისისათვის უპატაკეს 5 თვის ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო დავალების შესრულება. გეგმის გადამეტებით რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებს უკვე გაუგზავნა 6 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი.

შრომით პაექრობაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ პირველი და მესამე საექსპლოატაციო უბნების კოლექტივები. ორივე უბანმა მაისში დავალების ზევით 4000 ტონა ქვანახშირი ამოიღო.

შახტის მშრომელები შედეგიანად იბრძვიან მომჭირნეობის რეჟიმის განსამტკიცებლად. ხუთ თვეში მათ უკვე დაზოგეს 170 კუბმეტრი ხე-ტყე, 58.400 კილოვატ-საათი ელექტროენერგია და სხვა დამხმარე მასალები.

შახტის კოლექტივმა მტკიცე გადაწყვეტა არ შეანელოს აღებული ტემპი და კვლავაც ახალ-ახალ შრომით წარმატებას მიაღწიოს კონფერენციის გახსნის დღისათვის.

▼ ▼

#### ტვირთი — გეგმის გადაჭარბებით

**ამიერკავკასიის** რკინიგზის მაგისტრალის მშრომელებმა, რომლებმაც გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება XIX საკავშირო კონფერენციის ღირსეული შეხვედრისათვის, ვადამდე ორი დღით ადრე გაანაღდეს სახალხო სამეურნეო ტვირთის დატვირთვისა და გაგზავნის 5 თვის დავალება.

31 მაისისათვის დატვირთულია, გადაზიდულია და ადრესატისათვის გეგმის გადაჭარბებით ჩაბარებულია 360 ათას ტონაზე მეტი სახალხო სამეურნეო ტვირთი. ამასთან დაზოგილია ხუთ მილიონ კილოვატ-საათზე მეტი ელექტროენერგია და 1.200 ტონა დიზელის სათბობი.

▼ ▼

#### ათი დღით ადრე

**ქარბად** იშრომა მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში თელავის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივმა. ოთხ თვეში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა აქ 108, ხოლო ანაკრები რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გეგმა 107 პროცენტით გაანაღდეს. ამასთან ერთად ქარხნის მშრომელებმა დაზოგეს 40 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 28 ტონა მეტალი, 4 ტონა საწვავი.

შრომის ახლანდელი ტემპი იმის გარანტიაა, რომ კოლექტივი წარმატებით შეასრულებს XIX საკავშირო კონფერენციისათვის აღებულ ვალდებულებას — ვადამდე ათი დღით ადრე უპატაკებს ექვსი თვის გეგმის შესრულებას.

# მ. ს. გორბაჩოვის პრესკონფერენცია

**1 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა პრესკონფერენცია გამართა საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოსკოვის უმაღლესი დონის შეხვედრას აშუქებენ.**

## მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

**აქ** არის ჩვენი დელეგაცია, რომელიც მოლაპარაკებაში მონაწილეობდა, ანდრია ანდრიას ძე გრომიკოს გარდა. ჩვენ თქვენს განკარგულებაში ვართ.

მაგრამ, ალბათ, ტრადიციისამებრ მაინც რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას იმის შესახებ, თუ როგორ ვაფასებთ შეხვედრის შედეგებს.

დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მეოთხე შეხვედრა სამი წლის განმავლობაში. ეს უბრალო არითმეტიკა როდია. ჩემი აზრით ეს არის, დიდი აზრის, დიდი პოლიტიკური ქედნარადობის კონსტატაცია.

სამი წლის განმავლობაში — ოთხი შეხვედრა. ეს ახასიათებს პოლიტიკური დიალოგის ინტენსიურობას, ჩვენი ურთიერთობის დონეს. და, ვფიქრობ, რომ თავისთავად ეს უკვე მრავლისმეტყველია.

ბუნებრივია, რომ მთელ მსოფლიოში და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, და თქვენ, ჟურნალისტებს, ალბათ, გებადებათ კითხვა, რა მოგვცა, სად გაგვიყვანა მოსკოვის უმაღლესი დონის შეხვედრამ? შემატა თუ არა რამე ახალი წინა შეხვედრებს?

დავიწყებ იმით, რომ ჩვენც და თქვენც — ამაში დარწმუნებული ვარ — დიდი მოვლენის მონაწილენი ვიყავით. შეხვედრამ, მართლაც, კვლავ გვიჩვენა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დიალოგს, ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ სწორია ორწლინახევრის წინათ ჟენევაში არჩეული გზა. რეიკიავიკითა და ვაშინგტონით მოვედით მოსკოვში. ეს უნიკალური პროცესია ომისშემდგომი პერიოდის ისტორიაში.

ეს მეტად საჭიროა შეიგნოს ყველამ — პოლიტიკოსებმაც, საზოგადოებრიობამაც, რომელიც დიდ ინტერესს იჩენს იმისადმი, თუ როგორ ყალიბდება ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე ყოფნის სამი წლის განმავლობაში მქონდა საერთაშორისო ხასიათის ორასზე მეტი შეხვედრა. პრაქტიკულად არ მახსოვს არც ერთი შეხვედრა — მეგობრებთან სოციალისტური ქვეყნებიდან, კაპიტალისტური, მიუმხრობელი ქვეყნების წარმომადგენლებთან, რომ ხაზგასმით არ აღნიშნულიყო და არ გამოთქმულიყო დაინტერესება იმით, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა წარმართულიყო ნორმალური, ჯანსაღი კალაპოტით. ასეთია რეალობა, რომელიც განსაზღვრება ჩვენი ქვეყნების მნიშვნელობით.

და მაინც, რატომ გახდა შესაძლებელი ასეთი ინტენსიური დიალოგი, ასეთი პროცესი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს? ვფიქრობ, რეალიზმის მეოხებით. ვლაპარაკობ როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში რეალიზმის შესახებ, რადგან ასეთი მიდგომა მარტო ერთ მხარეს რომ გამოეჩინა, ვერ უზრუნველყოფდა ამგვარი პროცესის შესაძლებლობას.

არ მინდა ვიმკითხაო, თუ სადამდე მიგვიყვანდა ეს დაპირისპირება კიდევ რომ გაგრძელებულიყო, და კრემლსა და თეთრ სახლში დროულად რომ არ გამოეჩინათ სიმტკიცე და არ შემოებრუნებინათ საქმე საჭირო მიმართულებით, კონფრონტაციიდან — თანამშრომლობის დარგებისა და სფეროების ძიებისაკენ, პოლიტიკური დიალოგის ზრდისაკენ.

როცა გასაგები გახდა რეალობანი, დაიწყო დიალოგი, რომელსაც თან ახლდა მოლაპარაკება, და ამ მოლაპარაკებამ, თავის მხრივ, შეთანხმებათა დადებამდე მიგვიყვანა.

ურთიერთობა, რომელიც შეიცავდა საშინელ საფრთხეს მთელი მსოფლიოსათვის, თვით კაცობრიობის არსებობისათვის, თანდათან იცვლებოდა: ორმა უმძლავრესმა სახელმწიფომ დაიწყო ურთიერთობის რეფორმირება საკუთარი ინტერესებისა და მსოფლიო გაერთიანების ინტერესებისათვის.

ეს მეტად ძნელად მიმდინარეობდა. რამდენიმე წუთის წინ ეს ვთქვი, როცა მე და პრეზიდენტი სარატიფიკაციო სიგელებს ვცვლიდით.

და თუმცა ყველაფერი ადვილი არ არის, მაგრამ მთლიანად მნიშვნელოვანი, პროდუქტიული, პოზიტიური პროცესი მიმდინარეობს.

ოთხიდან ყოველი შეხვედრა ძნელი იყო, მაგრამ ნაყოფიერიც ინტერესთა ბალანსის ძიებით. თითოეული ზრდიდა მეცადინეობას ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის უდიდეს პრობლემათა გადაჭრის გზების ძიებისათვის.

საილუსტრაციოდ შეგახსენებთ რეიკიავიკს, რეიკიავიკის დრამას. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია იმისა, თუ რა ძნელად, ზოგჯერ დრამატული ფორმებით ვითარდება პოლიტიკური დიალოგი ორ მსოფლიო სახელმწიფოს შორის.

როგორია მეოთხე შეხვედრის შედეგები? უმთავრესია დიალოგის განგრძობა, რომელიც ახლა მოიცავს მსოფლიო პოლიტიკის, ორმხრივი ურთიერთობის ყველა საკვანძო პრობლემას. მოსკოვის შეხვედრამ კვლავ დაადასტურა, რომ დიალოგი გავიდა რეალურ პოლიტიკაზე.

ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი შეხვედრები განთავისუფლდა პროპაგანდისტული სვლების, დემარშებისა და იმ ცდებისაგან, რომ დაგროვო ქულები პროპაგანდისტული ხერხების მეშვეობით. მაგრამ მაინც ამ შეხვედრებზე სულ უფრო მეტად ჩანს მისწრაფება, სურვილი განხორციელდეს რეალური პოლიტიკა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს სწორი გზაა, სწორედ ასე უნდა ვიმოქმედოთ.

როცა ვაშინგტონში პირველსავე შეხვედრაზე ვიგრძენით, რომ სურდათ ჩვენთვის ჭკუა დაერიგებინათ, უარვყავით ასეთი მიდგომა და ვთქვით, რომ ჩამოვედით, რათა ხელი მოვკიდოთ რეალურ პოლიტიკას. ასე ვმოქმედებდით ამ, მეოთხე შეხვედრაზეც. იმიტომ მისთვის დამახასიათებელია გაღრმავებული, დროდადრო მწვავე დისკუსია, მათ შორის მოლაპარაკების უკანასკნელ წუთამდე, უკვე არა მოლაპარაკების მაგიდასთან, არამედ ფეხზე მდგომნი, როგორც ჩვენში, რუსეთში იტყვიან ხოლმე, „კედელკედელ“.

მინდა ასევე ხაზი გავუსვა მეშვიდრეობითობის იდეას, რომელიც ბატონობდა შეხვედრების მთელ ატმოსფეროში. ამას ნახავთ შემაჯამებელ დოკუმენტში. მიმაჩნია, რომ ეს არის მასშტაბური დოკუმენტი. მასში არის აზრი იმის შესახებ, რომ დიალოგში, ჩვენს მეოთხე შეხვედრაში აგურაგურ იგება ჩვენი მომავალი ურთიერთობის შენობა, XXI საუკუნისაკენ წინსვლის წანამძღვრები.

რა არის კონკრეტულად მიღწეული? პოლიტიკური დიალოგის შემდეგ, რომელსაც პირველ ადგილზე ვაყენებ, დავამთავრეთ საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ მორიგებათა პროცესი. მეოთხე შეხვედრისათვის მზადებამ ბიძგი მისცა ამ პროცესს, და ჩვენ შევძელით გაგვეცვალა სარატიფიკაციო სიგელები. ეს უბრალო ფორმალური აქტი როდია. თავს ნებას მივცემ გამოვიყენო ასეთი საზეიმო ფორმულა: საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლის პროცედურების დამთავრებამ მოსკოვის შეხვედრა აქცია გარდამტეხ პოლიტიკურ მოვლენად საბჭოთა კავშირ-ამერიკის დიალოგში, კაცმა რომ თქვას, მსოფლიო პოლიტიკაშიც.

არა მარტო საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებს, არამედ მათ მოკავშირეებსაც, მთელ მსოფლიოს საზოგადოებრიობას, მთელ მსოფლიო გაერთიანებას შეუძლიათ თავის თავს მიულოცონ. ეს არის გონების, რეალიზმის საერთო გამარჯვება. იგი შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ დღეს ყველა კონტინენტზე, ყველა ქვეყანაში სოციალური არჩევანისა და სხვა ღირებულებების მიუხედავად, რომლებსაც თითოეული ხალხი თვითონ ირჩევს და განსაზღვრავს, არის იმის საერთო გაგება, რომ მსოფლიო აღმოჩნდა მიჯნასთან, როცა უნდა შევჩერდეთ, როცა გავხსნათ გზა სხვა მიმართულებით — უბირთვო, უძალადო მსოფლიოსაკენ, საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღებისაკენ.

ბევრმა რეალური, არსებითი წვლილი შეიტანა ამ დიდი გამარჯვების მიღწევაში. მე მინდა აღვნიშნო პრესის როლიც. როცა იგი ძნელ კითხვებს აძლევდა პოლიტიკოსებსაც, მოლაპარაკების მონაწილეებსაც — ესეც იყო საჭირო წვლილი, რადგან ჟურნალისტთა კითხვები გვეხმარებოდა მოლაპარაკება გაგვეყვანა კონკრეტულობის, დამაჯერებლობის დონეზე, გვეხმარებოდა გვეპოვა გადაწყვეტის გზები, არგუმენტები, შეგვემუშავებინა კონტროლის ფორმები. ამიტომ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო პრესაც.

ახლა ღირსების საქმეა — უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისა, და არა მარტო მათი, არამედ სხვა სახელმწიფოებისაც,

(გაგრძელება მე-8 გვ.).

# ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრა

**2 ივნისს** კრემლში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის ოფიციალური გაცილება.

ისევე როგორც შეხვედრისას, ცერემონიამ ჩაიარა კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა და რ. მ. გორბაჩოვამ ხელი ჩამოართვეს რ. რეიგანსა და ნ. რეიგანს დარბაზის ცენტრში.

ორი ქვეყნის ხელმძღვანელებმა მოკლე სიტყვები წარმოთქვეს.

ოფიციალური გაცილების საზეიმო ცერემონია დამთავრდა.

ცენტრალურ კიბეზე ხელკავით ჩამოდიან მ. ს. გორბაჩოვი, რ. რეიგანი და მათი მეუღლეები კრემლის დიდი სასახლის გასასვლელისაკენ.

გასასვლელთან პრეზიდენტი მიხეილ სერგის ძეს უჩვენებს ჟურნალ „ტაიმს“, რომელმაც გენერალურ მდივანს „წლის კაცი“ უწოდა. იგი მ. ს. გორბაჩოვს სთხოვს ავტოგრაფს.

მიხეილ სერგის ძე ხელს აწერს ყდაზე:

**მ. ს. გორბაჩოვი:** ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ ვემშვიდობებით ერთმანეთს. მინდა ხელი ჩამოგართვათ და ერთხელ კიდევ გითხრათ: კმაყოფილი ვართ იმით, რომ ვიზიტის დღეებში გაიმართა საფუძვლიანი, უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საუბრები. იყო ადამიანური კონტაქტი, რომელსაც ძალზე ვაფასებთ. დიდი საქმე გავაკეთეთ. ბედნიერ გზას გისურვებთ, ბატონო პრეზიდენტო, ქალბატონო რეიგან.

**რ. რეიგანი:** ბატონო გორბაჩოვ, ჩვენ ერთმანეთს მეგობრებად ვშორდებით.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და მისი მეუღლე სხდებიან ავტომობილში და მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით კრემლის ბოროვიცკის კარიბჭის გავლით მიემართებიან ვნუკოვოს აეროპორტში.

ქუჩებსა და მოედნებზე მთელ გზაზე ფლაგშტოკებზე შრიალებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ასობით სახელმწიფო დროშა.

• • •

10 საათი და 45 წუთია. ვნუკოვოს აეროდრომზე მწყობრ რიგად გარინდულან საპატიო ყარაულის შეომრები. მაღალ ფლაგშტოკებზე ფრიალებს ამერიკის შეერთებული შტატების ვარსკვლავ-ზოლებიანი სახელმწიფო დროშა და სსრ კავშირის წითელი დროშა.

ავტომანქანების კორტეჟი უახლოვდება აეროვაგზლის შენობას.

რ. რეიგანი და ნ. რეიგანი გადიან საფრენ მოედანზე.

ჟღერს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ და რ. რეიგანმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულს, რომელიც შედგებოდა სსრ კავშირის სამი სახეობის შეიარაღებული ძალებისაგან, — სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისაგან.

რ. რეიგანი ემშვიდობება საბჭოთა ოფიციალურ პირებს.

გაცილების ცერემონია მთავრდება. ა. ა. გრომიკოსა და რ. რეიგანის წინაშე მწყობრ რიგად სამხედრო მარშის ჰანგებზე მიაბიჯებენ ქვეითების, მფრინავების და მეზღვაურების რიგები. მათ მოჰყვება სამხედრო სასულე ორკესტრი.

ავიალაინერთან — უკანასკნელი ხელის ჩამორთმევა. რ. რეიგანსა და მის მეუღლეს ემშვიდობებიან ა. ა. გრომიკო მეუღლითურთ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი.

რამდენიმე წუთის შემდეგ პრეზიდენტის ავიალაინერი კურსს ლონდონისაკენ იღებს.

• • •

იმავე დღეს საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი და ამერიკის სხვა ოფიციალური პირნი, რომლებიც პრეზიდენტს ახლდნენ. (საქდესი).

გიორგის დარბაზში გაცილების დროს.

საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

# პასუხი ბრაზილიელი ჟურნალისტის შეკითხვებზე

**1 ივნისს** კრემლის ერთ-ერთ მოედანზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი ესაუბრა მოსკოველებსა და საბჭოთა კავშირის დედაქალაქის სტუმრებს. ბრაზილიელი ჟურნალისტის შეკითხვას მიმდინარე წელს ლათინური ამერიკის ამ ქვეყანაში საბჭოთა ხელმძღვანელის შესაძლო ვიზიტის შესახებ, მ. ს. გორბაჩოვმა უპასუხა: „როგორ მინდა ჩავიდე ბრაზილიაში, სამხრეთ ამერიკაში. ეს ჩემი უდიდესი სურვილია. ვფიქრობ, რომ, ასე თუ ისე, დროთა განმავლობაში ვისარგებლებ მიწვევით და იმედი მაქვს ჩავალ ლათინურ ამერიკაში. უნდა ვაღიარო, რომ დიდი ინტერესით ვადევნებ თვალს ლათინურ ამერიკაში მიმდინარე პროცესების განვითარებას. ეს ის კონტინენტია, რომელიც ამოძრავდა. ვფიქრობ, ლათინური ამერიკის ხალხებს ახლა დაუდგათ ისტორიული განვითარების რთული ეტაპი. მაგრამ, მგონია, რომ ხალხები დაძლევენ ამ სიძნელეებს და მათ ექნებად დამოუკიდებელი განვითარების ფართო გზა“.

საბჭოთა ადამიანების სახელით მ. ს. გორბაჩოვმა ბრაზილიელ ხალხს აუყავება უსურვა.

კითხვას, თუ როგორ შეძლებდა საბჭოთა კავშირი „მესამე სამყაროს“ ქვეყნების დახმარებას საგარეო ვალის პრობლემის გადაჭრაში, მ. ს. გორბაჩოვმა უპასუხა: „ჩვენ შევეხეთ ამ საკითხებს პრეზიდენტთან შეხვედრის დროს და მიგვაჩნია, რომ ეს ერთ-ერთი გლობალური პრობლემაა, რომელიც იმსახურებს გულმოდგინე შესწავლასა და გადაჭრას ყველა ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებისა და საერთაშორისო ეკონომიკური წყობილების კარდინალური შეცვლის საფუძველზე“. (საქდესი).

# საბჭოთა კავშირ-კანადის სათხილამურო ტრანსარქტიკული გადასვლის მონაწილეებს

**სიხარულით** შევიტყვე, რომ წარმატებით დაგიმთავრებიათ ჩრდილოეთ პოლუსის გავლით სსრ კავშირიდან კანადაში გადასვლა. გულითადად გილოცავთ ყველას.

თქვენი მამაცობა, ჭეშმარიტი ამხანაგობა, ურთიერთდახმარება ის თვისებებია, რომლებიც ძალზე საჭიროა ახლა სულ სხვადასხვა დარგში სხვადასხვა ხალხის წარმომადგენელთა თანამშრომლობისათვის. თქვენმა ლაშქრობამ გაზარდა ნდობა, ურთიერთგაგება და კეთილმეზობლობა თანამედროვე მსოფლიოში.

გისურვებთ ჯანმრთელობასა და ახალ ენერგიას მსოფლიო მწვერვალების დაპყრობაში.

მ. გორბაჩოვი.

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვს

**ძვირფასო** მიხეილ სერგის ძევ! სსრ კავშირ-ჩრდილოეთ პოლუს-კანადის სათხილამურო გადასვლა წარმატებით დამთავრდა. უკან დარჩა 91 დღის გზა და ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის მოდრეიფე ყინულების 2.000 კილომეტრი. მეგობრობის ნათხილამურევმა დააკავშირა ერთმანეთთან სსრ კავშირი და კანადა. ჩვენ — ორი ქვეყნის ადამიანები, რომლებსაც სხვადასხვა პოლიტიკური სისტემა აქვთ — ბედნიერი ვართ, რომ გავერთიანდით და განვლეთ ეს გზა.

პლანეტის მწვერვალზე გაიმართა მშვენიერი საზეიმო ცერემონია. ეს იყო სსრ კავშირისა და კანადის მშვიდობისა და მეგობრობის დღესასწაული. ჩვენი გადასვლა ამტკიცებს, რომ ჩრდილოეთ პოლუსი შეიძლება იყოს მშვიდობისა და მეგობრობის პოლუსი.

მხურვალედ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ინტერნაციონალური ექსპედიციის მუშაობა მაგალითი გახდება სხვებისათვის.

ბედნიერი ვართ, რომ შევიტანეთ ჩვენი წვლილი სსრ კავშირისა და კანადის ურთიერთგაგებისა და კეთილმეზობლობის განვითარებაში.

გულითადი მადლობა ჩვენდამი ყურადღებისათვის,

საბჭოთა კავშირ-კანადის ტრანსარქტიკული გადასვლის მონაწილენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვის უმაღლესი დონის შეხვედრაზე მიღებული ერთობლივი განცხადება

**საბჭოთა** კავშირ-ამერიკის ქვეყნების 1985 წლის ნოემბრის უმაღლესი დონის შეხვედრაზე მიღწეული და ვაშინგტონის 1987 წლის დეკემბრის უმაღლესი დონის შეხვედრაზე დადასტურებული მორიგების შესაბამისად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რონალდ უ. რეიგანმა შეხვედრა გამართეს მოსკოვში 1988 წლის 29 მაისს — 2 ივნისს.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრო-...

...არამედ სახვალიოდ და აგრეთვე მომავალი საუკუნის პრობლემების გადასაჭრელად. გენერალური მდივნისა და პრეზიდენტის რწმენით, ეს პროცესი შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ხალხთა ძირეულ ინტერესებს და შეუძლია ხელი შეუწყოს უფრო სტაბილური, მტკიცე და უსაფრთხო მშვიდობის დამკვიდრებას.

## I.

გენერალურმა მდივანმა და პრეზიდენტმა გამოხატეს ორივე ქვეყნის ერთგულება შეიარაღების შეზღუდვა-შემცირების საქმეში მიღწეული პროგრესის განვითარებისადმი და განსაზღვრეს ამ დარგის ფართო წრის საკითხებთან დაკავშირებული ამოცანები და შემდგომი ნაბიჯები. ორივე ქვეყნის მთავრობები კვლავაც იხელმძღვანელებენ ამით თავიანთ ძალისხმევაში მომავალი თვეების მანძილზე ერთობლივი მუშაობის დროს, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთან ერთად მუშაობისას, რათა მიაღწიონ სამართლიან, კონტროლსდაქვემდებარებულ შეთანხმებებს, რომლებიც...

# მ. ს. გორბაჩოვის პრესკონფერენცია

(გაგრძელება)

რომ ხელშეკრულების თითოეული ასო — ნიშანი და მძიმე იყოს დაცული და განხორციელდეს.

შემდეგ. ჩვენ პრეზიდენტთან ერთად მოვიწონეთ ერთობლივი განცხადება. როგორც უკვე ვთქვი, იგი აჯამებს იმას, რაც შემუშავებულია ვაშინგტონის შეხვედრის შემდეგ და რაც გაკეთდა აქ, მოსკოვში. ამავე დროს განცხადება ადასტურებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის სამომავლო დიალოგის ერთგვარ დღის წესრიგს. ერთი სიტყვით, ეს არის მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც მოასწავებს მთელ ეტაპს ჩვენს ურთიერთობაში. ყველაზე მნიშვნელოვანია დებულებანი, რომლებიც ეხება ქვეყნებს შორის პოლიტიკური დიალოგის განგრძობისა და ზრდის, მოლაპარაკების ინტენსიფიკაციის საჭიროებას.

მე აღვნიშნავდი წინ წაწევას განიარაღების სფეროშიც. ეს ძალზე ძნელი პროცესია, განსაკუთრებით კი სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების საკითხში. ეს, როგორც ჩანს, ყველაზე რთული ამოცანაა, რომელსაც წავაწყდით ომისშემდგომ მსოფლიო პოლიტიკაში. მაგრამ მტკიცედ უნდა ვთქვა, რომ ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ სტრატეგიული შეტევითი იარაღის შემცირების შესახებ ხელშეკრულებისაკენ.

დღეს რომელიღაც კორესპონდენტმა, შეიძლება აქ დამსწრემაც, მკითხა: შევინარჩუნებთ თუ არა გამართული მოლაპარაკების შემდეგ ოპტიმიზმს, ჯერ კიდევ წელს, ჯერ კიდევ ამ ადმინისტრაციის დროს შეიარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულების დადების გამო? შემიძლია ვთქვა, რომ თუ საქმეს წარვმართავთ ეფექტიანად, თუ ახლანდელი ადმინისტრაცია, ორივე მხარე იმოქმედებენ ეფექტიანად, მივაღწევთ ხელშეკრულებას.

მინდა ყურადღება მივაპყრო ჩვენს ძლიერ წინ წაწეულ ინიციატივას ევროპაში შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ მოლაპარაკებაზე. იგი გამოქვეყნდა და აღარ გავიმეორებ. თუ რამის დაზუსტება დაგჭირდათ, შეგეძლებათ მომცეთ კითხვები.

ხელი მოვაწერეთ შეთანხმებათა მთელ პაკეტს, რომლებიც ეხება ჩვენი ქვეყნების ორმხრივ ურთიერთობას. ისინიც გამოქვეყნებულია.

გაღრმავებულად განვიხილეთ რეგიონალური კონფლიქტების პრობლემა. იგი იყო პრეზიდენტთან ყველა ჩვენი საუბრის დროს და ორ პლენარულ სხდომაზე. განსაკუთრებით დაწვრილებით, მთელი საფუძვლიანობით განვიხილეთ დღეს. ვფიქრობ, რომ მივუახლოვდით ისეთ სიტუაციას, როცა შეიძლება თქმა, რომ აქაც, პლანეტის „ცხელ წერტილებში", გაჩნდა იმის რეალური შესაძლებლობანი, რომ რეგიონალური პრობლემები გადავწყვიტოთ, ეს მჭიდრო „კვანძები" გავხსნათ პოლიტიკური მიდგომის საფუძველზე, ინტერესების ბალანსის საფუძველზე.

არსებითად, დღეს აღვნიშნეთ შემდეგი: ჯერ ერთი, არის ავღანეთი, მე ამაზე კიდევ ვილაპარაკებ, მეორე, არის პროცესი ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე. იგი მიმდინარეობს, და არის პოზიციების დაახლოება, მწიფდება საერთაშორისო კონფერენციის გზებზე მისი გადაწყვეტის საჭიროების გაგება. ეს ჯერ უკვე აღიარებულია. მაგრამ საქმე ეხება იმას, როგორ გავიგოთ ეს კონფერენცია. შემდგომი მუშაობის დროს ყველა ეს საკითხი დაზუსტდება.

არის კამპუჩიის პრობლემა. იმ ინიციატივის მეოხებით, რომელიც გამოიჩინეს ვიეტნამმა და კამპუჩიამ უკანასკნელ დღეებში, იგი გადადის სიბრტყეზე, როცა შეიძლება უკვე უახლოეს დროში გადაწყდეს.

მიმდინარეობს რეალური პროცესი, და შესაძლებელია საკითხთა გადაწყვეტა ცენტრალურ ამერიკაში, სამხრეთ აფრიკაში და ა. შ.

თუ ვინმე ჩემს მოსაზრებებს აღიქვამს, როგორც რაღაც გაუმართლებელ ოპტიმიზმს, როგორც სასურველის სინამდვილედ გასაღების ცდას, ვფიქრობ, ისინი მართალი არ იქნებიან. მოდით გავიხსენოთ როგორ გამოიყურებოდა ეს სამი-ოთხი წლის წინათ და როგორ გამოიყურება ეს დღეს. სიტუაცია არსებითად შეიცვალა. დაისახა ყველა ამ კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტის შესაძლებლობანი. ამოძრავდა უდიდესი ძალები ამ რეგიონების ფარგლებში და მთლიანად მსოფლიოში. მე ყოველთვის ხაზგასმით აღვნიშნავდი პრეზიდენტთან, ამერიკის ყველა წარმომადგენელთან საუბრებშიც მთავარ აზრს — არ შეიძლება დავკარგოთ, ხელიდან გავუშვათ შანსი.

მე პირდაპირ ვუთხარი პრეზიდენტს, რომ ავღანეთის შესახებ შეთანხმებათა ხელმოწერით იქმნება პრეცედენტი, რომელიც თავისი მნიშვნელობით სცილდება ამ პრობლემის ფარგლებს იმიტომ, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა საბჭოთა კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კონფლიქტის კონკრეტულ მონაწილეებთან ერთად ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც გზას უხსნის პოლიტიკურ გადაწყვეტას. ჩვენ ვეცდებით, ყველაფერს ვიღონებთ, რომ ვიყოთ შეთანხმებათა ერთგულები. ამასვე მოველით შეთანხმებათა ყველა სხვა მონაწილისაგან, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებისგანაც. ვფიქრობ, თუ ამჯერად ეს არ გამოგვივიდა, არ მოხდება ეს პოზიტიური პრეცედენტი, ამას მოჰყვება შორს მიმავალი შედეგები და გავლენას მოახდენს დანარჩენ რეგიონებში ამგვარი პრობლემებისადმი მიდგომაზე.

შეშფოთების საფუძველი კი გვაქვს. ამ ბოლო დროს მოხდა ორი მოვლენა, რომლებმაც შეგვაშფოთა: ჯერ ერთი, ცეცხლს უშენენ ქაბულს, საბჭოთა საელჩოს, ჩვენს ჯარებს ქაბულში; მეორე, გუშინ ყანდაღარის რაიონში დაიღუპნენ ჩვენი ამხანაგები, რამდენიმე კაცი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ჩვენ პირობა დავდეთ, რომ საბჭოთა ჯარების გამოსვლის მომენტიდან მონაწილეობას არ მიიღებენ საომარ მოქმედებებში. ასეც ვმოქმედებთ. მაგრამ ჩვენ დავთქვით, რომ ისინი ამგვარად იმოქმედებენ იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება პროვოკაციები და ჩვენს ჯარებზე ბანდიტური თავდასხმები. თუ კი ეს მოხდება, შესაბამის რეაგირებას მოვახდენთ. ესეც ცხადი უნდა იყოს.

მორიგებანი არის მორიგებანი. ჩვენ ვხედავთ, რას შვრება პაკისტანი, და ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება. არ მინდა შევეხო დეტალებს, მხოლოდ ხაზს ვუსვამ, რომ არის შეთანხმების ჩაფუშვის ცდები, რასაც სერიოზული ნეგატიური შედეგები შეიძლება მოჰყვეს. ეს მთელი პირდაპირობით ვუთხარით პრეზიდენტს და ამერიკის მთელ დელეგაციას.

ვფიქრობ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შეუძლიათ კონსტრუქციული წვლილი შეიტანონ რეგიონალური კონფლიქტების გადაწყვეტაში პოლიტიკური მიდგომების საფუძველზე, კონფლიქტის ყველა მონაწილის ინტერესების ბალანსის გათვალისწინებით, რეალიზმის საფუძველზე.

შემიძლია აღვნიშნო გარკვეული წინსვლა ჰუმანიტარულ საკითხებში, ადამიანის უფლებათა საკითხში. მე პრეზიდენტის წინაშე ასე დავაყენე საკითხი.

დროდადრო ამ სფეროში ჩნდება რაღაც კონკრეტული პრობლემები. ჩვენ მათ მუდამ ყურადღებით ვიხილავდით და ვჭრიდით. კვლავაც განვიხილავთ და გადავჭრით, მაგრამ რაც უფრო მეტს ვფიქრობ სიტუაციაზე, მით უფრო მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ ამერიკის ადმინისტრაციას არ ესმის ადამიანის უფლებებთან, იმ პროცესებთან დაკავშირებული რეალური მდგომარეობა, რომელიც მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის სფეროში. ალბათ, არც ჩვენ გვესმის ნათლად ამერიკის სიტუაცია ცხოვრების ამ სფეროში. მე წინადადება წამოვაყენე: მოდით, საპარლამენტთაშორისო გაცვლის ფარგლებში მოვაწყოთ სემინარი, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან ჩვენი პარლამენტების, პოლიტიკური, საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენლები და გაუცვლიან ერთმანეთს ინფორმაციებს, შეფასებებს იმის შესახებ, თუ რა ხდება ამერიკისა და ჩვენი საზოგადოების ამ სფეროში. ჩვენ მზად ვართ ამისათვის.

ადამიანის უფლებათა საკითხებში დიდ სპეკულაციას ეწევიან. და უნდა გითხრათ, რომ ვიზიტის, მეოთხე შეხვედრის ამ ნაწილში ჭარბობდა პროპაგანდისტული ხრიკები, ყველანაირი სპექტაკლები. ამიტომ, როცა მხოლოდ დღეს, მართალია, დაგვიანებით შევიტყვე — გაზეთების კითხვის დრო არ მქონდა, — რომ ჩვენმა პრესამ შესაბამისი რეაგირება მოახდინა, იმ დასკვნამდე მივედით, რომ, იგი სწორად მოიქცა საჯაროობის ფარგლებში. უნდა გვეჩვენებინა ჩვენი ხალხისათვის პრეზიდენტის ვიზიტის ეს ნაწილიც. დაე ხალხმა ყველაფერი იცოდეს.

მე არა ვარ აღფრთოვანებული მეოთხე შეხვედრის ამ ნაწილით. ვფიქრობ რეალურ პოლიტიკას უნდა მივსდევდეთ. როცა პრეზიდენტმა თავისი მოსაზრებები მითხრა საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებათა შესახებ, მეც ბევრი კითხვა დავუსვი მას. იგი დიდხანს მიხსნიდა: სურდა აზრი შემეცვალა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მდგომარეობის შესახებ. მოვუსმინე პრეზიდენტს და ვუთხარი: ბატონო პრეზიდენტო, თქვენი ახსნა-განმარტება არ არის დამაჯერებელი, იმიტომ, რომ მე გამოვიყენე ფაქტები, რომლებიც ეფუძნება ამერიკის კონგრესის მონაცემებს, აღარაფერს ვამბობ პრესაზე, რომელიც ბევრ მასალას აქვეყნებს ამ საკითხზე. ჩემ მდგომარეობაში უკეთესია ოფიციალურ მონაცემებს ემყარებოდეს კაცი.

ვფიქრობ, რომ მხოლოდ ასე უნდა წარვმართოთ მოლაპარაკება. მოდით ერთმანეთს თვალი გავუსწოროთ, მოდით დავინახოთ ერთმანეთის ისტორია, ტრადიციები, ღირებულებები, პატივი ვცეთ ერთმანეთის არჩევანს, პატივი ვცეთ ჩვენს ხალხებს. ბოლოს და ბოლოს, არჩევანს ხომ ისინი აკეთებენ. კაცმა რომ თქვას, ხალხები იღვწიან დაახლოებისათვის, გაცნობისათვის, მეგობრული დამოკიდებულებისათვის. ამერიკელებიც, ჩვენი ადამიანებიც ამაზე გულახდილად ლაპარაკობენ. გუშინ პრეზიდენტს ბევრი რამ უთხრეს ამის თაობაზე. მოდით ყურად ვიღოთ ის, რაც სურთ ჩვენს ადამიანებს. პოლიტიკოსები, რადგან ისინი ხალხმა აირჩია, უნდა მიხვდნენ, რა სურს ხალხს, და ხორცი შეასხან ამას კონკრეტული პოლიტიკით. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ ამ პროცესს, თუკი განვიწყვეტთ საიმისოდ, რომ გავაჯანსაღოთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა და საერთოდ მსოფლიოს სიტუაცია.

უნდა გითხრათ, რომ საბჭოთა კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტის არსებითი ფაქტი ის არის, რომ მას მიეცა საბჭოთა ადამიანებთან ურთიერთობის შესაძლებლობა. ეს იყო პრეზიდენტისა და მისი მეუღლის პირველი ვიზიტი, პირველი გაცნობა, რათა შეევსოთ თავიანთი შთაბეჭდილებები საბჭოთა კავშირის, საბჭოთა ადამიანების შესახებ. ბევრ რამეს მოიცავდა პროგრამა, მთელ რიგ შემთხვევებში თავიანთი არჩევანის მიხედვით მოქმედებდნენ, რაც სცდებოდა პროგრამის ფარგლებს. არსებითი ელემენტი გახდა ქალბატონ რეიგანის პროგრამა, რომელმაც მას საშუალება მისცა გასცნობოდა საბჭოთა კავშირს.

გუშინ, როცა პრეზიდენტი ესაუბრა ჩვენს ადამიანებს, იქ, სადაც მეც ვიყავი, ვიღაცამ ჰკითხა და, მე მგონი, პრესამ დაბეჭდა ეს: ბატონო პრეზიდენტო, დღემდე მიგაჩნიათ საბჭოთა კავშირი „ბოროტების იმპერიად"?

მან უპასუხა, არაო. ამასთან ეს თქვა მეფე ზარბაზანთან, კრემლში, „ბოროტების იმპერიის" ცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე. ცნობად ვიღებთ ამას. მაშასადამე, როგორც ამბობდნენ ძველი ბერძნები, „ყველაფერი წარმავალია, ყველაფერი იცვლება".

ეს ადასტურებს ჩემს აზრს იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტს აქვს რეალიზმის გრძნობა, და ეს მეტად მნიშვნელოვანი თვისებაა პოლიტიკოსისათვის. როგორიც უნდა იყოს რეალობანი, თამამად უნდა გავუსწოროთ მას თვალი. მხოლოდ რეალური პროცესების ანალიზზე, შეფასებაზე აგებული პოლიტიკა იმსახურებს იწოდებოდეს პოლიტიკად.

მე ცოტა გამიგრძელდა სიტყვა და პრეზიდენტის მაგივრადაც დავიწყე ლაპარაკი. ვფიქრობ, პრეზიდენტი უკეთ გეტყვით, რას ფიქრობს თავის შეხვედრებზე. მე მხოლოდ გავიხსენე ის გამონათქვამები, რომლის მოწმეც თავად გახლდით.

საერთოდ ასე შევაჯამებდი შედეგებს: პრეზიდენტის ვიზიტი, გამართული მოლაპარაკება ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას, მის განვითარება-განმტკიცებას, კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანს მას.

შესაძლებელი იყო თუ არა მეტის მიღწევა? ეს, ბუნებრივია, გაინტერესებთ თქვენც და ჩვენც. ეს-ეს არის დამთავრდა დისკუსია, რომლის გამოც ჩემს კოლეგებთან ერთად დამაგვიანდა თქვენთან შეხვედრაზე. ამ დისკუსიაზე წინ ვერ წავიწიეთ, შუა გზაზე შევჩერდით. უნდა მეთქვა, რას იზამ, პოლიტიკა — ეს შესაძლებლის ხელოვნებაა. მიმაჩნია, რომ მეტის მიღწევა შეიძლებოდა ამ შეხვედრაზე.

მაგალითად, მე შევთავაზე პრეზიდენტს ახალი დიდი ნაბიჯი გადაგვედგა თანამედროვე პოლიტიკურ რეალობათა დახასიათების გზაზე, რაც ზრახვებისა და პოლიტიკური მოქმედების პლატფორმა იქნება. ამასთან მე და ჩემი კოლეგები ვხელმძღვანელობდით იმ გამოცდილებით, რომელიც შევიძინეთ ჟენევის შემდეგ. მაშინ ჩვენ განვაცხადეთ: ბირთვული ომი შეუძლებელია, დაუშვებელია, მასში ვერავინ ვერ გაიმარჯვებს და საერთოდ ყოველგვარი ომი საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის დაუშვებელია.

ეს არ ნიშნავდა, რომ შეხვედრის შემდეგ მეორე დღეს ან მეორე კვირას ყველაფერი გადაწყდებოდა და ბირთვული იარაღი მოისპობოდა. არა, იგი რჩება, მაგრამ ამ ერთობლივ განცხადებას უდიდესი აზრი ჰქონდა. მან ძლიერი რეზონანსი გამოიწვია მთელ მსოფლიოში. ახლა, ჩვენ უფრო მეტად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ პრობლემები უნდა გადავჭრათ პოლიტიკური გზით, ხალხების სოციალური არჩევანის პატივისცემის საფუძველზე. და გვსურს თუ არა ეს, ყველანი მოვალენი ვართ ვისწავლოთ, როგორ ვიცხოვროთ ამ რეალურ მსოფლიოში.

თუ თქვენ აიღებთ ბოლო წიგნს, რომელიც შეიცავს პრეზიდენტის გამოსვლებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რჩეული სტატიებისა და სიტყვების წიგნს, პირველშიც და მეორეშიც ნახავთ ამ განცხადებებს. და ამ გაგების, იმ დასკვნების საფუძველზე, რომლებიც გამოვიტანეთ ბოლო წლების პრაქტიკიდან, ჩვენ ვთავაზობთ — მოდით შევიტანოთ ეს პოლიტიკური კონსტატაცია ახლანდელ ერთობლივ განცხადებაში. აი პროექტი, კონსტატაციები, რომლებიც წარვუდგინე პრეზიდენტს. ჩვენ ორივეს, თანამედროვე მსოფლიოს შექმნილი რეალობების გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ არც ერთი სადავო პრობლემა არ უნდა გადაიჭრას სამხედრო გზით, რომ ჩვენ მშვიდობიანი თანაარსებობა მიგვაჩნია საერთაშორისო ურთიერთობის უნივერსალურ პრინციპად, და რომ ყველა სახელმწიფოს თანასწორობა, საშინაო საქმეებში ჩაურევლობა და სოციალურ-პოლიტიკური არჩევანის ყველასათვის, ხელშეუხებელ და სავალდებულო ნორმად უნდა იქნეს აღიარებული. მე გადავეცი პრეზიდენტს რუსული და ინგლისური ტექსტები. მან წაიკითხა და თქვა: მე ეს მომწონს.

როცა დღეს მოვედით, რათა შეგვეთანხმებინა ერთობლივი განცხადების საბოლოო ტექსტი, გამოირკვა, რომ პრეზიდენტის დაახლოებულ პირთა შორის ყველას როდი მოსწონს ასეთი ფორმულირება. ამის გარშემო გაიმართა დისკუსია. ვიგრძენით, რომ არ მოსწონთ ტერმინი „მშვიდობიანი თანაარსებობა", რადგან იგი ოდესღაც იხმარებოდა დოკუმენტებში, რომლებსაც საბჭოთა ხელმძღვანელობამ ხელი მოაწერა ნიქსონთან და კისინჯერთან ერთად. ჩვენ ამოვიღეთ ეს ტერმინი, რადგან იგი მიუღებელია, თუმცა ნამდვილად გვსურს თანაარსებობა და ვფიქრობთ, რომ ამაში ეჭვი არავის ეპარება.

გაჩნდა ახალი ვარიანტი, ამასთან პრეზიდენტმა თავად დაასახელა ამ ფორმულის ელემენტები. მიუხედავად ამისა, იგი ასეთი სახით არ შევიდა საბოლოო განცხადებაში, თუმცა იქ არის სწორედ გაკეთებული სერიოზული კონსტატაციები. ისინი უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დღეს თუ დავადასტურებდით, რომ უნდა ვხელმძღვანელობდეთ პრობლემების გადაჭრის პოლიტიკური მეთოდებით, და იმედს არ ვამყარებდეთ მათ სამხედრო გადაწყვეტაზე, ხვალ უკვე გაქრება ჯარები და შეიარაღება.

არა, ბირთვული იარაღი არ გამქრალა მას შემდეგ, რაც ჩვენ ჟენევაში დავადასტურეთ, რომ მიუღებელი და დაუშვებელია ბირთვული ომი. მაგრამ ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ორიენტირი საბჭოთა კავშირ-ამერიკის დიალოგისთვისაც, და მსოფლიოში დიალოგისთვისაც. ჩვენ იგი მიგვაჩნდა მეტად მნიშვნელოვან კონსტატაციად, მით უმეტეს, რომ ეს თქვეს ცალ-ცალკე საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებმა. ვფიქრობთ, რომ ახლანდელ შეხვედრაზე ხელიდან გავუშვით შესაძლებლობა დიდი ნაბიჯი გადაგვედგა ცივილიზებული საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირების გზაზე.

ვერ შევთანხმდით ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ მოლაპარაკების საგნის თაობაზე. ჩვენ წინადადებას ვიძლეოდით გვესარგებლა უმაღლესი დონის შეხვედრით — არ შეგვეცვალა, რა თქმა უნდა, ვენის ფორუმი — და შეგვემსუბუქებინა მისი მუშაობა. საქმე ხომ ეხება იმას, რომ ჩვენ — საბჭოთა კავშირმა და ამერიკელებმა — მივაღწიოთ რაღაც შეთანხმებას, რაღაც გაგებას, თანაც ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხში, როგორიც არის მოლაპარაკების საგანი. სწორედ ეს აფერხებს ახლა ვენაში მანდატის მომზადების პროცესს. ეს პოზიცია, სხვათა შორის, იყო ჟენევაში ბატონ შულცისა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგ შევარდნაძის შეხვედრაზე. და მისდამი ორივე მხარის პოზიტიური დამოკიდებულების მიუხედავად, იგი არ შევიდა განცხადებაში. თუმცა თითქოსდა გარეგნულად საპატიო საბაბით — აქაოდა, უხერხულია დიალოგის შეცვლა ვენაში.

ჩვენ არც კი ვაპირებდით შეცვლას. პირიქით, ჩვენ გვინდოდა შეგვემსუბუქებინა იგი და წამოვაყენეთ ჩვენი თვალსაზრისი, რომლითაც შეეძლოთ ესარგებლათ ვენის შეხვედრის მონაწილეებს. მე აი რას ვფიქრობ: რამდენს ლაპარაკობენ იმაზე, რომ არ შეიძლება ბირთვული განიარაღების პროცესის წინსვლა, 50-პროცენტიანი შემცირება, თუ არ გადაიჭრება ჩვეულებრივი შეიარაღების, ევროპაში შეიარაღების შემცირების პრობლემა. მაგრამ, როგორც კი რეალურ წინადადებებს ვსახავთ, რათა წინ წავწიოთ ეს პროცესი, ისევ იწყება გაუგებარი მანევრები, განზე გადგომა. დასავლეთში ყველას შეშფოთებას იწვევდა ის, რომ ვარშავის პაქტს, თითქოსდა, აქვს ძალების უპირატესობა. მაგრამ როცა ჩვენ ვთქვით, მოდით, გავცვალოთ მონაცემები, რათა ყველაფერი ნათელი იყოს-თქო, მეორე მხარემ თავი აარიდა პასუხს. ახლა ჩვენ შევიტანეთ წინადადება: მოდით, ვთქვათ, რომ ჩვენ გვაქვს მოლაპარაკების საგნის გაგება. ეს შეამსუბუქებს მუშაობას ვენაში. ისევ არ გამოვიდა. ამერიკელებმა არ მიიღეს ჩვენი სამი ეტაპისა და შემდგენელი ნაწილებისაგან შემდგარი გაბედული და სავსებით რეალისტური გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს ევროპაში ასიმეტრიისა და დისბალანსის ლიკვიდაციას და მტკიცე გადასვლას კონტინენტზე შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების არაშეტევითი სტრუქტურის სიტუაციის შექმნაზე, მნიშვნელოვნად შემცირებული დონის პირობებში. ჩემი აზრით, ხელიდან გავუშვით იმის კარგი შესაძლებლობა, რომ საჭირო დინამიკა მიგვენიჭებინა ორ ყველაზე მძლავრ კავშირს შორის წინააღმდეგობის საშიშროების შემცირების შესახებ მოლაპარაკებისათვის და, მაშასადამე, ხელი შეგვეწყო საერთაშორისო უშიშროებისათვის.

პოლიტიკა შესაძლებლის ხელოვნებაა. ყოველ შემთხვევაში, მე იმისგან, რომ ყველაფერი არ ახდა, რაც შეიძლებოდა გამოსულიყო, არ გამომიტანია დრამატული დასკვნები. მიუხედავად ამისა უნდა გაგიზიაროთ ჩემი ფიქრი, რათა თქვენ გქონდეთ მოლაპარაკების შინაარსის უფრო სრული გაგება.

სანამ ჩემს გამოსვლას დავამთავრებდე, მინდა გაგიზიაროთ ერთი საერთო შთაბეჭდილება. ბოლომდე პატიოსანი და მართალი არ ვიქნებოდი თქვენთან, ეს რომ არ მეთქვა, რომ დამრჩა ეს შთაბეჭდილება. მექმნება შთაბეჭდილება ამერიკის პოზიციის წინააღმდეგობრივ ხასიათზე. ამას დავაკავშირებდი არა მარტო ახლანდელი შეხვედრის შედეგებით. ასეთ მოვლენას წინათაც წავწყდომივართ.

რა არის ამერიკის მიდგომის, ამერიკის პოზიციის წინააღმდეგობრიობა? ერთი მხრივ, ჩვენ გვაქვს ერთობლივი განცხადება იმის შესახებ, რომ ომი არ უნდა იყოს, რომ იგი შეუწყნარებელია. ჩვენ საქმიანი სჯა-ბაასი გვაქვს შეიარაღების შემცირების, განიარაღების შესახებ, ვლაპარაკობთ, რომ უმჯობესია პრობლემების პოლიტიკური გადაწყვეტები. მეორე მხრივ კი, გამუდმებით გვესმის, გვესმოდა ამჯერადაც მოსკოვში, და მრავალჯერ პრეზიდენტის ჩვენთან ჩამოსვლის წინ, რომ უნდა ვეყრდნობოდეთ ძალას. მაშასადამე, ძალას, შეიარაღებულ ძალას, სამხედრო ძლიერებას აცხადებენ საბჭოთა კავშირის, და არა მარტო საბჭოთა კავშირის მიმართ შეერთებული შტატების პოლიტიკის მთავარ პრინციპად.

როგორ შევათავსოთ ერთმანეთთან ჟენევის კონსტატაციები და ეს მიდგომა? ერთი მხრივ, მე და პრეზიდენტი აღვნიშნავთ, რომ ორივე ჩვენს ხალხს სურს იცხოვროს მშვიდობიანად, თანამშრომლობით და იმეგობროს კიდეც. ამას ასახავს ისიც, რასაც უბრალო ადამიანები ამბობენ. მე წავიკითხე ამერიკის პრესა. კითხვაზე, თუ როგორი სურთ იყოს ჩვენი ურთიერთობა 2000 წლისათვის, ამერიკელები უპირატესობას აძლევდნენ არა მეტოქეობას, არამედ მეგობრული ურთიერთობის განვითარებასა და თანამშრომლობას.

თითქოსდა, უნდა ვიხელმძღვანელოთ ამით, ვიხელმძღვანელოთ ჩვენი ხალხების ნება-სურვილით. რეალურ პოლიტიკაში ეს არ გამოგვდის. შესამჩნევია ეს ეკონომიკური კავშირურთიერთობის სფეროშიც. ამერიკის საქმიანი სამყაროს ავტორიტეტიანი ნაწილის აშკარა ინტერესს იმისადმი, რომ თანამშრომლონ ჩვენთან, უპირისპირდება აკრძალვები, შეზღუდვები, ხშირად დამცინებაც კი. ჩვენ მიმართ შეერთებულ შტატებში მოქმედებს უმეტესი არახელშეწყობის რეჟიმი.

გუშინ დიდი სჯა-ბაასი გვქონდა პრეზიდენტთან ამ თემაზე. მე ვთქვი: რატომ უნდა ებღაუჭებოდნენ მკვდრები ცოცხლების კალთას, მხედველობაში მქონდა რა ჯექსონისა და ვენიკის შესწორება. ერთ-ერთი მათგანი მკვდარია, მეორე კი — პოლიტიკურად მკვდარი. რატომ უნდა ვყავდეთ მათ ხელში? ამას ხომ სრულიად სხვა სიტუაციაში, ათწლეულების წინათ იღებდნენ.

დღეს სულ სხვაგვარ, შეცვლილ მსოფლიოში ჩვენ უნდა ვიფიქროთ და ვაშენოთ ჩვენი პოლიტიკა ახლანდელ რეალობათა საფუძველზე. ეს მომაგონებს ინგლისის კანონმდებლობას, სადაც დღევანდელ მართლსაწინააღმდეგო საქციელზე მსჯელობენ 1200-1300 წლების კანონების საფუძველზე.

ყველას თავისი ტრადიციები აქვს. მე მათ არ ვძრახავ. ეს ინგლისელების საქმეა, ნუ გამიწყრებიან ინგლისელი კორესპონდენტები. მაგრამ პოლიტიკაში მაინც უნდა ვხელმძღვანელობდეთ დღევანდელი რეალობებით და უნდა ვითვალისწინებდეთ მომავალსაც. მე ვუთხარი პრეზიდენტს: ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, რომ ეკონომიკურად შეგვიძლია ურთმანეთოდ ვიცხოვროთ, ახლა უნდა დავამტკიცოთ, რომ შეგვიძლია ვითანამშრომლოთ, მით უმეტეს, რომ ჩვენ უბრალოდ განწირული ვართ თანამშრომლობისათვის. ამის ალტერნატივას მივყავართ სრულიად გაუწყვეტელი მიმართულებით. ვერ გვექნება მტკიცე თანამშრომლობა, თუ იგი არ დაეყრდნობა ვაჭრობას, ეკონომიკურ თანამშრომლობას.

მე გავბედავდი ასეც დამესვა საკითხი: რაც უფრო მეტად ვიქნებით დამოკიდებული ერთმანეთზე ეკონომიკურად, მით უფრო ნათელი გახდება, თუ როგორ მოვიქცევით პოლიტიკური თვალსაზრისით.

მეთანხმებით? შეგიძლიათ არ ილაპარაკოთ, უბრალოდ გვიპასუხეთ თქვენს საგაზეთო კომენტარებში.

ამ წინააღმდეგობას ჩვენ ვხედავთ პროპაგანდის სფეროში და ოფიციალურ პირთა ქცევაში, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა საკითხებში. ჩვენ ვამბობთ: დიახ, ჩვენ დამოუკიდებელი ვართ, თითოეულ ხალხს აქვს სოციალური არჩევანის უფლება, თავის ღირებულებებზე დაყრდნობის უფლება. დიახ, ჩვენ სხვადასხვაგვარნი ვართ, მაგრამ ეს არ არის კონფრონტაციის, მით უმეტეს ომის საბაბი. კარგია, რომ არის მრავალფეროვნება. ეს არის შედარებების საბაბი, ბიძგი აზრისათვის, მსჯელობისათვის. ჩვენ შეგვიძლია თავის თავად დავრჩეთ, მაგრამ ვიცხოვროთ ნორმალურად, ცივილიზებულ მსოფლიოში.

ჯერჯერობით კი ვერ შევამჩნიეთ ამერიკის მხარეს, რომ სერიოზულად სურდეს აიღოს ორიენტაცია ახალ მოვლენებზე, გაითვალისწინოს ცვლილებანი ჩვენს საზოგადოებაში.

ოდესღაც მაიაკოვსკი ამბობდა: თუ ვარსკვლავებს ანთებენ, მაშასადამე, ეს ვიღაცას სჭირდება. მაშასადამე, ეს ვიღაცისთვის ხელსაყრელია. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ხალხები სხვა აზრისანი არიან. ეს კი გადამწყვეტი ფაქტორია პოლიტიკის განსაზღვრისას. ეს წინააღმდეგობრიობა ამერიკის პოლიტიკაში, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის საქციელში იმედს უცრუებს ჩვენს ადამიანებს.

და მაინც, ვუბრუნდები რა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეოთხე შეხვედრის ზოგად შეფასებას, მინდა ვთქვა, რომ ეს დიდი მოვლენაა. დიალოგი გრძელდება, მემკვიდრეობითობამ მიიღო დამატებითი იმპულსი, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა წინ წაიწია. არ ვიცი, ერთი თუ ორი საფეხურით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ახალ საფეხურზე ავიდა. და ეს თავისთავად საგულისხმო ფაქტია მსოფლიო პოლიტიკაში.

აი, რა მინდოდა მეთქვა თქვენთვის.

შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა უპასუხა ჟურნალისტთა კითხვებზე.

**კითხვა** (გაზეთი „იზვესტია"): მიხეილ სერგის ძევ, თქვენ პრეზიდენტ რეიგანთან მთელი რიგი ნაყოფიერი შეხვედრები გქონდათ. რვა თვის შემდეგ იგი დატოვებს თეთრ სახლს. მიგაჩნიათ თუ არა შესაძლებლად ასეთივე რეგულარული კონტაქტები უმაღლეს დონეზე მომდევნო პრეზიდენტთან? მიგაჩნიათ თუ არა შესაძლებლად გაცნობის შეხვედრები მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების მომდევნო პრეზიდენტი თანამდებობას დაიკავებს?

**პასუხი:** არათუ მიმაჩნია, არამედ საჭიროდ, საარსებოდ საჭიროდ ვთვლი.

**კითხვა** (ტელეკომპანია სი-ბი-ესი; ამერიკის შეერთებული შტატები): თქვენ ორჯერ ახსენეთ ხელიდან გაშვებული შესაძლებლობანი სტრატეგიული შეტევითი იარაღის შესახებ მოლაპარაკებაზე. თქვენ აგრეთვე თქვით, რომ პოლიტიკა — ეს შესაძლებლის ხელოვნებაა. ამიტომ მინდა გკითხოთ, შესაძლებელია თუ არა ხელშეკრულების დადება სტრატეგიული შეტევითი იარაღის შესახებ ჯერ კიდევ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელ ადმინისტრაციასთან, თუ ამერიკის მხარე კვლავ დაჟინებით მოითხოვს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამის შენარჩუნებას?

**პასუხი:** დარწმუნებული ვარ: კიდევ არის შესაძლებლობა გვქონდეს მოლაპარაკება წელს. ჯერ ერთი, ამ ოპტიმიზმს მინერგავს წინსვლა, რომელსაც ვაშინგტონმა და მოსკოვმა მიაღწიეს ამ პერიოდში, და ის აზრთა გაზიარება, რომელიც აქ ხდებოდა თითქმის მთელი დღე-ღამეების განმავლობაში. იგი საშუალებას მაძლევს გამოვთქვა ასეთი ოპტიმისტური შეფასება.

**კითხვა** (გაზეთი „მესაჯერო"; იტალია): მინდა გკითხოთ, თქვა თუ არა პრეზიდენტმა რეიგანმა რაიმე თქვენი გამონათქვამების შემდეგ ავღანეთის გამო ჟენევის შეთანხმებათა მიხედვით ამერიკის შეერთებული შტატების ვალდებულებების შესახებ?

**პასუხი:** არა მარტო პრეზიდენტს, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ყველა წევრსაც, როგორც მე ვფიქრობ, ესმის იმ პრინციპებზე ავღანეთის კონფლიქტის წარმატებული გადაწყვეტის მნიშვნელობა, რომლებსაც ჟენევაში ჩაეყარა საფუძველი. ვფიქრობ, რომ ამ თემაზე აზრთა გაზიარება გულახდილი და სასარგებლო იყო.

**კითხვა** („ნეშნლ პაბლიკ რედიო", ამერიკის შეერთებული შტატები): ბატონო გენერალურო მდივანო, უკანასკნელი დღეების განმავლობაში თქვენ რამდენჯერმე გკითხეს, შესაძლებელია თუ არა მეხუთე უმაღლესი დონის შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან. თქვენ, როგორც წესი, უპასუხებდით, რომ იგი შესაძლებელია, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ წარიმართება საქმე მოსკოვის შეხვედრაზე. მიღწეულია თუ არა მასზე ისეთი პროგრესი, რომელიც გაამართლებს მიმდინარე წლის შემოდგომაზე პრეზიდენტ რეიგანთან უმაღლესი დონის მეხუთე შეხვედრის მოწყობას?

**პასუხი:** შეხვედრის მოწყობის შესაძლებლობა მიმაჩნია მხოლოდ ერთი პირობით — თუ გვექნება შესაძლებლობა მივაღწიოთ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულების საკითხთა მთელი კომპლექსის, მათ შორის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პრობლემის, ფრთოსანი საზღვაო რაკეტების საკითხის გათვალისწინებით. დეტალებზე არ შევჩერდები. ეს ყველაფერი მოლაპარაკებებისა და აზრთა გაზიარების სფეროშია. რადგან აღვნიშნავ, ხელშეკრულების მიღწევის შესაძლებლობას, მიმაჩნია, რომ მეხუთე შეხვედრის შესაძლებლობა ჯერჯერობით რეალური რჩება. მხოლოდ ამ საკითხს ვუკავშირებ მეხუთე შეხვედრის შესაძლებლობას.

**კითხვა** (გაზეთი „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი", ამერიკის შეერთებული შტატები): ყველანი გაგვაოცა იმ გულახდილობამ, რომელიც თქვენს საზოგადოებაში არსებობს. გუშინ ამერიკელები აგრეთვე განაცვიფრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში პრეზიდენტ რეიგანის გამოსვლის ტონმა. მაგრამ ჩვენ გაკვირვებული ვიყავით იმით, რომ საბჭოთა პრესაში არც ერთი სიტყვა არ დაბეჭდილა პრეზიდენტის ამ გამოსვლის შესახებ. როგორია თქვენი რეაქცია ამ გამოსვლაზე?

**პასუხი:** სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ შევძელი გავცნობოდი პრეზიდენტ რეიგანის გამოსვლებს ვერც მწერლებთან შეხვედრაზე, ვერც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეხვედრაზე. მიუხედავად ამისა მიმაჩნია, რომ ეს შეხვედრები იყო სასარგებლო. ყოველ შემთხვევაში ამხანაგებმა, რომლებმაც იციან ამ შეხვედრების შესახებ, თქვეს, რომ ისინი სასარგებლო იყო. რაც შეეხება ჩვენს პრესას, მისი წარმომადგენლები აქ არიან, და თუ მათ ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს რაიმეს გამოქვეყნება, ვფიქრობ, ისინი ამას იზამენ.

**კითხვა** (სანას სააგენტო; სირია): მიხეილ სერგის ძევ, არაბული ქვეყნები დიდად აფასებენ თქვენს ამასწინანდელ სამართლიან სიტყვებს პალესტინელი ხალხის მიმართ, რომელიც ამ დღეებში მამაცურად იბრძვის ისრაელ ოკუპანტთა წინააღმდეგ. გვითხარით, თუ შეიძლება, რას მიაღწიეთ ბატონ რეიგანთან შეხვედრაზე პალესტინის საკითხის და საერთოდ ახლო აღმოსავლეთის მოწესრიგების გამო?

**პასუხი:** ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გაჩნდა რეალური მომენტები, რომლებიც ეხება ახლო აღმოსავლეთში ვითარების პოლიტიკურ მოწესრიგებას.

ჯერ ერთი, მსოფლიო გაერთიანებაში, მათ შორის უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს ესმით, რომ ეს უნდა გაკეთდეს მაინც საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში. სხვა საქმეა, რომ ჯერ კიდევ არ არის გარკვეული მისი შინაარსის საკითხი. შემდეგ, ესმით, რომ არსებობს სირიის ინტერესები, არსებობს პალესტინელი ხალხის ინტერესები, არსებობს ისრაელის ინტერესები, სხვა ქვეყნების ინტერესები, რომლებიც ამ რეგიონში შედიან და რომლებსაც ეხებათ ეს კონფლიქტი.

ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ ყველაფერი წყდებოდეს პოლიტიკური მოწესრიგების საფუძველზე, ყველა მონაწილე მხარის ინტერესების გათვალისწინებით და, რა თქმა უნდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამის რეზოლუციათა პრინციპული დებულებების გათვალისწინებით. საქმე ეხება იმას, რომ დააბრუნონ ისრაელის მიერ ოკუპირებული მთელი მიწები, რომ აღდგეს პალესტინელი ხალხის უფლება. პრეზიდენტ რეიგანს ვუთხარით, თუ როგორ წარმოგვიდგენია ამერიკის შეერთებული შტატების როლი, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გადავწყვიტოთ არაბთა მაგივრად, თუ რა ფორმით მიიღებენ მონაწილეობას პალესტინელები საერთაშორისო კონფერენციაში. დაე, არაბებმა თვითონ გადაწყვიტონ, ჩვენ და ამერიკელებმა კი უნდა გამოვიჩინოთ პატივისცემა მათი არჩევანისადმი.

შემდეგ, უნდა ვაღიაროთ ისრაელის უშიშროების უფლება, პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლება, რა ფორმით — დაე გადაწყვიტონ თვით პალესტინელებმა თავიანთ მეგობარ არაბებთან ერთად. ეს სახავს ცოცხალი აზრთა გაზიარების, რეალური პროცესის შესაძლებლობას. ყოველ შემთხვევაში მგონია, რომ ასეთი შესაძლებლობა ჩნდება.

ერთ რამესაც გაცნობებთ — ჩვენ ვთქვით: როცა დაიწყება კონფერენცია — ნორმალური, ქმედითი კონფერენცია და არა ქოლგა სეპარატიული მოლაპარაკებისათვის, — ფორუმი, რომელიც ურთიერთდაკავშირებული იქნება მუშაობის ორმხრივ, სამმხრივ, სხვა ფორმებთან, მზად ვიქნებით ხელი მოვკიდოთ ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობის მოწესრიგების საკითხს.

ასე რომ, შეგვაქვს კიდევ ერთი ახალი ელემენტი. ეს მოწმობს, რომ მტკიცედ ვდგავართ რეალობის ნიადაგზე, ინტერესთა ბალანსის აღიარების ნიადაგზე. და, რა თქმა უნდა, არის მთავარი საკითხები — მიწების დაბრუნება, პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლება. ერთხელ კიდევ უნდა ვთქვა: ვხელმძღვანელობთ იმით, რომ ისრაელ ხალხსა და ისრაელის სახელმწიფოს აქვთ თავიანთი უშიშროების უფლება, იმიტომ, რომ არ შეიძლება იყოს ერთის უშიშროება მეორის ხარჯზე. უნდა მოინახოს ისეთი გადაწყვეტა, რომელიც გახსნის ამ მეტად დახლართულ კვანძს.

**კითხვა** (გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ"; პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა): ამხანაგო გენერალურო მდივანო, დილით ბრძანეთ, რომ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების საკითხები დღეს იქნება განხილული, ახლა ბრძანეთ, რომ დასავლეთი უარს ამბობს საბჭოთა წინადადებაზე ამ დარგში. ვიცით, რომ თქვენი ინიციატივა მოიცავს აგრეთვე სხვა სოციალისტური ქვეყნების, მათ შორის პოლონეთის წინადადებებსაც. როგორ ხედავთ ამ საკითხის მომავალ გადაწყვეტას? რას უნდა ველოდეთ ვენის შემდეგ? თქვენს პროგრამაში ხომ არის ზოგიერთი პასუხი დასავლეთის ქვეყნების, სოციალ-დემოკრატიული და სხვა პარტიების სურვილებზე.

**პასუხი:** იმისათვის, რომ სრულიად ობიექტური ვიყო, უნდა ვთქვა: ამერიკის მხარე უარს არ ამბობს იმ მორიგებათა საფუძველზე მოლაპარაკების საგნის განხილვაზე, რომლებიც მიღწეული იყო ჟენევაში ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის დროს. მან თავი აარიდა იმას, რომ აზრი გამოგვეთქვა და ერთად დაგვეფიქსირებინა დამოკიდებულება ამ საკითხისადმი მოსკოვის შეხვედრაზე.

ამიტომ აბსოლუტურად ობიექტური უნდა ვიყო, რათა ჩრდილი არ მივაყენო ამერიკის მხარეს, როცა საქმე ეხება ასეთ მნიშვნელოვან საკითხებს. ამას იმით ასაბუთებენ, რომ მათ, თითქოს, სურთ მოეთათბირონ სხვა მონაწილეებს. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ის, რაც შევთავაზეთ, არ ეწინააღმდეგება მოთათბირების საჭიროებას. როგორც ჩანს, რაღაცას ბოლომდე არ ამბობენ. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ვენის კონფერენციის მანდატის განსაზღვრის პერსპექტივები რეალურია.

უნდა ვთქვა, რომ ამ კონფერენციის მანდატის საკითხს ამერიკის მხარე ერთგვარად უკავშირებდა სხვა საკითხებს, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ სფეროს. იქაც მიმდინარეობს ცოცხალი, აქტიური პროცესი, აზრთა შეხლა-შემოხლა, მათი შეჯერება. მიმაჩნია, რომ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია.

ვფიქრობთ, რომ საბჭოთა კავშირი თავის საგარეო პოლიტიკაში მუდამ უნდა ითვალისწინებდეს როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი ევროპის აზრს. და სწორედ ასეც ვცდილობთ ვაწარმოოთ საქმე ჩვენს მოკავშირეებთან. ახლა ეს უკეთ კეთდება, ჩვენ რეგულარულად ვუზიარებთ ერთმანეთს აზრს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებთანაც ვცდილობთ საქმე ისე ვაწარმოოთ, რომ იყოს სრული სიცხადე და გაგება. ჩვენ გვინდა ერთად ვაშენოთ ჩვენი საერთო ევროპული სახლი.

**კითხვა** (ინგლისელი ჟურნალისტი): ფართოდ არის გავრცელებული აზრი, რომ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამისადმი ამერიკის მიდგომასა და თქვენს პოზიციას შორის განსხვავება მთავარი დაბრკოლებაა სტრატეგიული შეტევითი იარაღის შესახებ ხელშეკრულების დადების გზაზე. მიაღწიეთ თუ არა რაიმე პროგრესს ამ უმაღლესი დონის შეხვედრის დროს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამის მიმართ აზრთა განსხვავების აღმოფხვრის საქმეში? თუ ასეა, რა კონკრეტული პროგრესია მიღწეული ამ თვალსაზრისით? კვლავინდებურად მიგაჩნიათ თუ არა, რომ ეს არის უდიდესი დაბრკოლება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების დადების გზაზე?

**პასუხი:** ჯერ უკანასკნელ კითხვაზე გიპასუხებთ: დიახ, მიმაჩნია, იმიტომ, რომ ეს ნიშნავს დესტაბილიზაციას. არ თავსდება ნორმალურ ლოგიკაში — შევკვეცოთ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღება დედამიწაზე და გავდოთ ხიდი გამალებული შეიარაღებისათვის კოსმოსში. ამერიკის მხარე გვარწმუნებს, ეს მხოლოდ თავდაცვითი იარაღიაო.

ჩვენ ასე არა გვგონია. და კომპეტენტური ვართ გამოვთქვათ ასეთი აზრი. თუ გამალებული შეიარაღება კოსმოსში გადავა, ამან შეიძლება მოახდინოს მთელი სიტუაციის უდიდესი სერიოზული დესტაბილიზაცია მსოფლიოში. პრეზიდენტს შევახსენე: ჟენევაში გითხარით-მეთქი, რომ არ ვეცდებით მივაღწიოთ სამხედრო უპირატესობას. თქვენ, ვუთხარი მას, შეგექმნათ აზრი, რომ შესაძლებლობა გაქვთ გაგვისწროთ კოსმოსში შეეჯიბროთ, მოიპოვოთ უპირატესობანი. თქვენ, ამგვარად, უკან იხევთ ჟენევის კონსტატაციისაგან. ჩვენ გვქონდა ცხარე დისკუსია ამ „თავდაცვითი" სისტემის ფილოსოფიური ასპექტის გამო.

იყო კიდევ ერთი მომენტი. ამერიკის მხარემ, რათა დაგვარწმუნებინა, რომ მხარი დაგვეჭირა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივისათვის, განაცხადა, მზად ვართ გაგიზიაროთ საიდუმლოებანი, როცა ამ საქმეში რაიმე რეალურ შედეგებს მივაღწევთო. პრეზიდენტს ვუთხარი: ბატონო პრეზიდენტო, ნება მიბოძეთ არ დაგეთანხმოთ და ეჭვი შევიტანო ამ განზრახვაში. ჩვენ და თქვენ ახლა ვერ მოვრიგდებით ორი ან სამი სახეობის ხომალდებზე საზღვაო ბაზირების ფრთოსანი რაკეტების არსებობისადმი კონტროლის შესახებ. თქვენ ამისათვის მზად არა ხართ და ამიტომ არ თანხმდებით-მეთქი. როგორ უნდა დაგიჯეროთ, რომ თქვენ უცბად გაგვიმჟღავნებთ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის ყველა საიდუმლოს? ეს არ არის სერიოზული, ეს სცილდება რეალური პოლიტიკის ფარგლებს.

და მაინც, სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ასეთი ფილოსოფიური დისკუსია რომ გავმართეთ, მაინც მოვრიგდით ვამოქმედოთ ვაშინგტონის განცხადების საფუძველზე, მით უმეტეს, რომ ეს რამდენიმე კონკრეტული საგანია.

განვმარტავ: საბჭოთა მხარემ, რომელიც მოითხოვს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ ხელშეკრულების ზუსტად დაცვასა და შეთანხმებული ვადის განმავლობაში მისგან გამოუსვლელობის აუცილებლობას, ამერიკის მხარის პოზიციის გათვალისწინებით წამოაყენა კომპრომისული წინადადება საკითხზე, რომელზეც უთანხმოება გვაქვს. კერძოდ, წინადადება მივეცით განვახორციელოთ შემდეგი.

პირველი — ერთმანეთს გავუცვალოთ მონაცემები, რომლებიც განეკუთვნება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვით დარგში სამუშაოებს, მოვაწყოთ ექსპერტთა შეხვედრები, საცდელი პოლიგონების ურთიერთწვევა, სადაც მიმდინარეობს სამუშაოები ამ დარგში.

მეორე — გავცვალოთ ინფორმაცია მხარეთა მიერ მიღებულ ვალდებულებათა დაცვის გამო ურწმუნოების თავიდან აცილების მიზნით.

მესამე — დავაწესოთ კონტროლი ვალდებულებათა შესრულების დაცვისადმი, მათ შორის მოვაწყოთ ინსპექციები ობიექტებზე, რომელთა მიმართ წარმოიქმნება მხარეთა წუხილი.

მეოთხე — მოვაწყოთ კონსულტაციები იმ სიტუაციათა განსახილველად, რომლებიც, ერთ-ერთი მხარის აზრით, საფრთხეს უქმნის მის უმაღლეს ინტერესებს.

კონსულტაციების დროს მხარეები იყენებენ ყველა ხელმისაწვდომ ღონისძიებას ურთიერთმისაღებ საფუძველზე სიტუაციათა მოწესრიგებისათვის.

ამრიგად, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების 50 პროცენტით შემცირების შესახებ ხელშეკრულების შემუშავების დამთავრება 1988 წელს, როგორც ხედავთ, მოითხოვს საკმაო მეცადინეობას, მაგრამ გვჯერა, რომ ეს შესაძლებელია.

აი პირველად მივეცი ასეთი დაწვრილებითი პასუხი ამ კითხვაზე.

**კითხვა** (გაზეთი „გარდიანი", დიდი ბრიტანეთი): მოსკოვში იმყოფება ხუთი ათასი ჟურნალისტი უმაღლესი დონის შეხვედრის ფარგლებში. საბჭოთა კავშირის საშინაო პოლიტიკა მათ მოულოდნელად წარმოუდგენიათ იმ თვალსაზრისით, რომ ბატონმა ელცინმა ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში მოულოდნელად განაცხადა, ბატონი ლიგაჩოვი უნდა გადადგესო. ბატონებმა ბურლაცკიმ, ზასლავსკაიამ, აგრეთვე ი. აფანასიევმა უკვე საუბარი დაიწყეს სიძნელეებზე, რომლებსაც აწყდება მომავალი პარტიული კონფერენციის დელეგატების არჩევა. თქვენ მოუწოდებთ, რომ გარდაქმნის მომხრეები იყვნენ სწორედ კონფერენციის დელეგატები, მაგრამ ახლა ჩანს მხოლოდ გარდაქმნის ზოგიერთი გამოვლინება. პირადად როგორ მიგაჩნიათ პოლიტიკური გარდაქმნის პროცესი საბჭოთა კავშირში იმის კვალობაზე, თუ როგორ ახლოვდება პარტიული კონფერენცია, და რას ფიქრობთ ბატონ ლიგაჩოვის გადადგომის შესახებ ბატონ ელცინის მოწოდებაზე?

**პასუხი:** გარდაქმნის მიმდინარეობა და მისი პერსპექტივა მთლიანად არის განსაზღვრული ამ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში. თქვენს წინაშეა ამ თეზისების ერთ-ერთი შემდგენელი. მონაწილეობდა აგრეთვე პოლიტბიუროს ყველა წევრი, მთელი ხელმძღვანელობა. თეზისებში გამოითქვა ჩვენი კოლექტიური აზრი მომავალი პარტიული კონფერენციის პლატფორმისა და გარდაქმნის პერსპექტივების შესახებ. ვფიქრობ, რომ კონფერენცია მეორე მძლავრ სუნთქვას მიანიჭებს გარდაქმნის მთელ პროცესს ყველა მთავარი მიმართულებით. ჩვენ ვიმოქმედებთ მტკიცედ, მაგრამ წინახედულად. უდიდესია ქვეყანა, უდიდესია პასუხისმგებლობა. ჩვენ არ შეგვიძლია რთულ ვითარებაში ჩავაყენოთ საკუთარი თავი და ჩვენი მეგობრები, მსოფლიო გაერთიანება. ჩვენი ადამიანები გარდაქმნის პირადი გამოცდილების შეძენის კვალობაზე სულ სხვაგვარები ხდებიან, როგორც ჩვენ თავად. ჩვენ გამოვედით ერთი მდგომარეობიდან, გავიაზრეთ იგი, გამოვიტანეთ დასკვნები, შევადგინეთ გეგმები და ვეძებთ გზებს.

მთავარში მივაგენით მათ, მაგრამ რჩება ბევრი ტაქტიკური და პრაქტიკული პრობლემა. იქნებ ყოველთვის ყველაფერი არ მიდის წარმატებით, ყოველთვის ვერ ვპოულობთ რომელიმე საკითხის ზუსტ გადაწყვეტას. გვაქვს ჩავარდნები. მაგრამ თუ ვილაპარაკებთ მთავარზე — გარდაქმნა ძალას იკრებს, ხალხი გარდაქმნას უჭერს მხარს. საზოგადოება ამოძრავდა, აჩქარდა პარტია, საზოგადოების ყველა სფერო განახლების პროცესშია.

რა თქმა უნდა, ჩვენს საზოგადოებაში შეიძლება იპოვოთ ფაქტები ყოველი თემის საილუსტრაციოდ და ამით შეასრულოთ ყოველი ამოცანა, რომელსაც თქვენი გაზეთების გამომცემლები მოგცემენ. რა ამოცანას დაგისახავენ, იმასვე დაადასტურებთ კონკრეტული ფაქტებით. უმაღლესი დონის ამ შეხვედრაზე იყო ცდები ზოგჯერ ესარგებლათ კონტექსტიდან ამოღებული ფაქტებით. საქმე ის არის, ფაქტები როგორც გნებავთ შეიძლება შეარჩიოთ. უნდა ხედავდეთ მოვლენების ტენდენციას განზოგადებულის სახით, მათ მიმართულებას, მათ პერსპექტივას.

(დასასრული მე-4 გვ.)

# მ. ს. გორბაჩოვის პრესკონფერენცია

(დასასრული)

ბი-ბი-სისადმი ამხანაგ ელცინის ინტერვიუს შესახებ არაფერი ვიცოდი (ხმა დარბაზიდან: ეიბი-სისადმიც)! იძულებული ვიყავი გუშინაც მეთქვა, რომ ამის თაობაზე არაფერი ვიცოდი. ეს, რა თქმა უნდა, არ მშვენის. მაგრამ თქვენც დიდად არ გიცდიათ, რომ დროზე გამეგო ყველაფერი (გამოცოცხლება). ვითხოვე, რომ მომცენ იმის სრული ტექსტები, რაც ამხანაგმა ელცინმა თქვა. მინდა მათ გავეცნო. თუ კორესპონდენტები, რომლებმაც ინტერვიუ ჩამოართვეს, გამიზიარებენ სრულ ჩანაწერს, უმონტაჟოდ, მადლობელი ვიქნები. ელცინი ცენტრალური კომიტეტის წევრია. ის, რაც მან თქვა, შარშან ოქტომბრის პლენუმზე განხილვის საგანი იყო. გამოვიდა 27 კაცი, ამასთან გამოდიოდნენ სრულიად მოუმზადებლად — ისევე როგორც აქ, პრესკონფერენციაზე. მისი გამოსვლაც აბსოლუტურად მოულოდნელი იყო. პლენუმზე ხომ მიმდინარეობდა აზრთა გაზიარება, თუ როგორი მოხსენება გაკეთებინა ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. მაგრამ ელცინი გამოვიდა და მაშინვე დაიწყო აზრთა გაზიარება. ოცდაშვიდივე ამხანაგი ერთი აზრისა იყო: ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროში ვითარების, სამდივნოს მუშაობის, საქმიანობის სხვადასხვა ასპექტისა ამხანაგ ელცინისეული განზოგადებანი და დასკვნები სწორი არ იყო. მისი გამოსვლა პოლიტიკურად მცდარი იყო. ასე რომ, დისკუსიამ ჩაიარა, გადაწყვეტილება მივიღეთ, და ამ შემთხვევაში საქმე, იქნებ, იმას ეხება, რომ ამხანაგი ელცინი არ ეთანხმება პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას. მაშინ ცენტრალურ კომიტეტში უნდა ვკითხოთ ამხანაგ ელცინს, რაზეა ლაპარაკი და რა უნდა მას.

რაც შეეხება ამხანაგ ლიგაჩოვისა და მის გადადგომას — ასეთი პრობლემა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, პოლიტბიუროში არ დგას. გირჩევთ ამით იხელმძღვანელოთ.

**კითხვა** (საბჭოთა ჟურნალი: „სშა" ეკონომიკა, პოლიტიკა, იდეოლოგია"): მოსკოვში მარტო ჟურნალისტები კი არა, პოლიტოლოგებიც ჩამოვიდნენ, რომლებსაც თავი ამერიკული თემის ექსპერტებად მიაჩნიათ. ბევრი მათგანი ამბობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონსერვატიული ძალები, რომლებიც ცდილობდნენ ხელშეკრულების რატიფიკაციის ჩაშლას, ახლა ერთიანდებიან, მიაჩნიათ, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის განვითარების პროცესი მეტად სწრაფად მიმდინარეობს და რომ ისინი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მომავალი ადმინისტრაციის პოზიციის მიუხედავად ჩაშალონ ეს მოძრაობა ან უკუღმა დაატრიალონ იგი. ელაპარაკეთ თუ არა ამაზე პრეზიდენტ რეიგანს და რას ფიქრობთ ამ ძალებზე?

**პასუხი:** ვფიქრობ, თუ ამ კითხვას დავუსვამთ ბატონ პრეზიდენტს, იგი მალე გამოვა თქვენს წინაშე, — უკეთესად გიპასუხებთ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენზე ამერიკელ კონსერვატორთა აზრი ნაკლებ გავლენას მოახდენს.

**კითხვა** (ტელეკომპანია ენ-ბი-სი, ამერიკის შეერთებული შტატები): თქვენი კონსერვატორების შესახებ ბატონო გენერალურო მდივანო. ამერიკაში, აგრეთვე თქვენთან მოეწყო ანალიზი, რომლის თანახმად თქვენ სამი ან ხუთი წელი დაგრჩათ იმისათვის, რომ უზრუნველყოთ გარდაქმნის წარმატება. თუ თქვენ ამას ვერ მოახერხებთ, დაასწრებენ კონსერვატორები და კრიტიკოსები თვით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში. გთხოვთ მოგვცეთ თქვენი პირადი შეფასება, რა არის მიღწეული იმისათვის, რომ უზრუნველყოთ გარდაქმნის წარმატება, რომელიც საჭიროა თქვენი დიდი საზოგადოების გადარჩენისათვის.

**პასუხი:** მე ასე გიტყვით. უმთავრესი ჩვენს გარდაქმნაში ის არის, რომ დემოკრატიისა და საჯაროობის მეშვეობით უკვე ჩავაბით მასში ხალხი, ხოლო ჩვენი პოლიტიკური სისტემის სრულყოფის მეშვეობით საფუძვლიანად განვამტკიცებთ ამ ტენდენციას. იქნებ, გარდაქმნას ჯერ კიდევ სადმე არ მიუღწევია და არ შეხებია პროცესებს, მაგრამ დღეს იგი უკვე ყველგან იგრძნობა.

აი ამ დღეებში სახალინზე კამათი იყო, რომელიც იმით დამთავრდა, რომ შეიკრიბა პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმი და განიხილა მშრომელთა, კომუნისტთა აზრი. პლენუმმა სამართლიანად ცნო მათი შენიშვნები და მოთხოვნები, საჭიროდ მიიჩნია განემტკიცებინა ოლქის პარტიული ხელმძღვანელობა, მიიღო იმისათვის საჭირო გადაწყვეტილებანი, რომ დემოკრატიზაციის პროცესი გაძლიერდეს სახალინზე. ასე რომ, სახალინსაც მიაღწია გარდაქმნამ. მაგრამ იგი აღწევს სიღრმეშიც, წვდება ყველა სფეროს.

სამი წლის განმავლობაში არავის წამოუყენებია გარდაქმნის დამაჯერებელი ალტერნატიული პოლიტიკა, და მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი არ არსებობს. საჭიროა გარდაქმნა, ქვეყნის განახლება ჩვენი პრინციპების, ჩვენი იდეალების საფუძველზე საზოგადოების უდიდესი მატერიალური, სულიერი, ინტელექტუალური პოტენციის გამოყენებით. პარტიაც, ხალხიც ძლიერი არიან იმისათვის, რომ განახორციელონ გარდაქმნა და წინ გაიჭრან. გარდაქმნას ალტერნატივა არა აქვს. გარდაქმნა გაიმარჯვებს. მას შეიძლება ჰქონდეს ცალკეული გადახრები, მანევრები, ჩავარდნებიც კი, მაგრამ ეს არ შეცვლის მთავარ მიმართულებას ჩვენი საზოგადოების განვითარებაში. ჩვენ დავადექით შეუქცევადი ცვლილებების გზას.

**კითხვა** (გაზეთი „დიარიუ დე ნოტისიაში", პორტუგალია): ხომ ვერ გვეტყოდით რამეს, უწინარეს ყოვლისა, ანგოლაზე. ჯერ ერთი, შეხვედრის შედეგებზე რომ ლაპარაკობდით, რამდენჯერმე გაიმეორეთ სიტყვები „დავკარგეთ", „ხელიდან გავუშვით შანსი".

**პასუხი:** უმჯობესია „ხელიდან გავუშვით" ვიდრე „დავკარგეთ". „დავკარგეთ" — ეს სამუდამოდაა, ხოლო „ხელიდან გავუშვით" — მხოლოდ ამ შეხვედრაზე, და გვაქვს შესაძლებლობა ამ შანსით ვისარგებლოთ მომავალში.

რაც შეეხება ანგოლას, უნდა ვთქვა, რომ იყო საინტერესო, შინაარსიანი და რეალისტური აზრთა გაზიარება. ჩვენც, ამერიკის მხარემაც აღვნიშნეთ, რომ შესაძლებელია წინ წაწევა ამ რეგიონალური კონფლიქტის მოწესრიგების გზაზე. ამასთან ორივე მხარემ ხაზი გაუსვა — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ცნობილი რეზოლუციების სავალდებულო შესრულებით და ანგოლის საქმეებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჩარევის გამორიცხვით, აგრეთვე ნამიბიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებით. ჩვენ არა ვართ ამ პროცესის უშუალო მონაწილენი, მაგრამ მხარი დავუჭირეთ მოლაპარაკებას, რომელიც წარმოებს ანგოლებს, კუბელებსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას შორის ამერიკის შეერთებული შტატების შუამავლობით. თუ ყველა მის მონაწილეს მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირი უფრო კონკრე-

[illegible] ეტაპზე კონტროლისა და ინსპექციის დარგში სიძნელეები ჩვენი მხრიდან მომდინარეობდა. ახლა ვფიქრობთ, რომ ეს აქცენტი გადავიდა ამერიკის მხარეზე. დაადასტურა თუ არა ახლანდელმა უმაღლესი დონის შეხვედრამ რომ არის ასეთი ხელახალი ორიენტაცია?

**პასუხი:** თქვენი დაკვირვებანი სწორია. ჩვენც გვქონდა ამაზე საუბარი ფაქტების საფუძველზე. აღმოჩნდა, რომ წინა განცხადებებში ბევრი ბლეფი ყოფილა. ახლა კი, როცა ხელი მოვკიდეთ რეალურ პროცესებს, ძალიან მტკიცედ ვართ განწყობილი. კონტროლი უნდა იყოს ნამდვილი, ქმედითი. კონტროლის დარგში იმ გამოცდილების წყალობით, რომელიც შევიძინეთ საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულების შემუშავების საფუძველზე, ახლა კონსტრუქციულად ვმოქმედებთ. ვფიქრობთ, რომ გადაწყვეტილებას ამ საკითხებშიც ვიპოვით.

**კითხვა** (გაზეთი „უნიტა", იტალია): პრეზიდენტმა რეიგანმა მოიყვანა ანდაზა „დაიბადა-არ ჩქარობდა". მიუხედავად ამისა ჩვენ თვალს ვადევნებთ მტკიცე შემობრუნებას უკეთესობისაკენ საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობაში. როგორია ევროპის როლი ამ პროცესში და ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ევროპა უფრო აქტიურად ჩაება ამ პროცესში?

**პასუხი:** ყველა პროცესში ამდენ ხანს ევროპა არა მარტო იყო, არამედ აქტიურადაც მონაწილეობდა იმ პრობლემების ფორმულირებაში, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და გენერალური მდივნის უმაღლესი დონის შეხვედრებზე დისკუსიების საგანი გახდა. ეს აგრეთვე ეხება აღმოსავლეთ ევროპაში ჩვენს მოკავშირეებს. ასე რომ ევროპა — აღმოსავლეთიც, დასავლეთიც — ყოველთვის არის და მონაწილეობს, აქტიურად შეაქვს თავისი წვლილი. ჩვენ ასეც ვიმოქმედებთ. ვიცი, რომ იგივე განაცხადა პრეზიდენტმა რეიგანმა. უფრო მეტიც, დღეს, როცა მსოფლიო ეძებს პასუხს საჭირბოროტო და ძნელ საკითხებზე, უევროპოდ, რომელსაც აქვს უნიკალური გამოცდილება — ისტორიული, ინტელექტუალური, დიპლომატიური, პოლიტიკური — ევროპის წვლილის გარეშე ვერ წარმომიდგენია საერთაშორისო პრობლემების წარმატებით გადაჭრა.

**კითხვა** („ლიტერატურნაია გაზეტა"): ჩვენი გაზეთის უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი კორესპონდენტის იონ ანდრონოვის წერილი ავღანეთში 300 საბჭოთა სამხედრო მოსამსახურის თაობაზე, რომლებიც ძალადურად გადაიყვანეს პაკისტანის ტერიტორიაზე. ამას მაშინვე მოჰყვა წერილები რედაქციაში იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწევათ მათ. რეგიონულ კონფლიქტებზე რომ ლაპარაკობდით, ხომ არ აღძრულა ეს საკითხი პრეზიდენტ რეიგანთან თქვენი საუბრის დროს?

**პასუხი:** მეც მივიღე ამ ჯარისკაცების ზოგიერთი დედის წერილი. ჩვენ დავამყარეთ კონტაქტი ამერიკის მხარესთან, რათა პრაქტიკული თვალსაზრისით განგვეხილა საკითხი. და ასეთი განხილვა გაიმართა. კონკრეტულად პრეზიდენტ რეიგანთან ეს საკითხი არ განგვიხილავს. მაგრამ მისი დამუშავება დაიწყო სამუშაო დონეზე, ექსპერტთა დონეზე. დავძენ, რომ ეს პრობლემა დაისვა პაკისტანის წინაშეც. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ჩვენი ადამიანები სამშობლოში დაბრუნდნენ.

**კითხვა** (გაზეთი „ლოს-ანჯელეს ტაიმსი"; ამერიკის შეერთებული შტატები): შეერთებულ შტატებში ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება პრეზიდენტის არჩევნები. საჭირო არის ეს თუ არა — ამას არა აქვს მნიშვნელობა, მაგრამ პრეზიდენტი შემოფარგლულია თავის პოსტზე 8 წლის ვადით. გენერალური მდივნის პოსტზე თქვენი ყოფნის ვადა ზუსტად არ არის განსაზღვრული, მრავალ ამერიკელს სურს იცოდეს, რამდენ ხანს აპირებთ კიდევ დარჩეთ თქვენს პოსტზე?

**პასუხი:** ეს დამოკიდებული არ არის ჩემს განზრახვაზე, თუმცა თქვენ ისეთი წარმოდგენა გაქვთ ჩვენს დემოკრატიაზე, თითქოს ხალხი ამაში არ მონაწილეობდეს. ეს კიდევ ერთი ფაქტია, რომელიც გვიჩვენებს, რომ არსებობს უმართებულო წარმოდგენები ერთმანეთზე. მიუხედავად ამისა, მე ვუპასუხებ თქვენს კითხვას. ეს პრობლემა, რომელიც პარტიულ და სხვა არჩევითი ორგანოებსაც ეხება, გამოტანილი იქნება პარტიულ კონფერენციაზე იმის გათვალისწინებით, რაც უკვე მოკლედ ითქვა თეზისებში. იგი აისახება ახალ საარჩევნო კანონში. ასე რომ, ყოველივე ეს დაყენებულია სამართლებრივ საფუძველზე.

**კითხვა** (გაზეთი „რიზოსპასტისი"; საბერძნეთი): მიხეილ სერგის ძევ, თქვენს შესავალ სიტყვაში ახსენეთ მთელი რიგი რეგიონული კონფლიქტები, მაგრამ არ შეეხეთ ევროპის სამხრეთ ნაწილს, ხმელთაშუა ზღვის რაიონს, კვიპროსის პრობლემას, ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ამ საკითხებს არ შეეხეთ მოლაპარაკებაზე, თუ უთანხმოება იმდენად დიდია, რომ პროგრესი არ იყო. ხომ არ აპირებთ წელს ეწვიოთ საბერძნეთს?

**პასუხი:** პირველ კითხვაზე გეტყვით შემდეგს: სამუშაო ჯგუფებში ინტენსიური აზრთა გაზიარების დროს ჩვენი მხრივ აღვძარით ეს პრობლემები, მაგრამ ისინი არ განვითარებულა ამერიკის მხარის დაუინტერესებლობის გამო. რაც შეეხება ჩემს ვიზიტებს, ჩვენ მათ ვგეგმავთ, და როგორც კი გაირკვევა, აუცილებლად ვისარგებლებთ მიწვევით და განვახორციელებთ ვიზიტს.

**კითხვა** (ენ-ეიჩ-კეის ტელეკომპანია; იაპონია): აზიის რომელი რეგიონული პრობლემები, კამპუჩიისა და ავღანეთის გარდა, განიხილეთ პრეზიდენტ რეიგანთან ერთად? განიხილეთ თუ არა კორეის ნახევარკუნძულზე მომავალ ოლიმპიურ ასპარეზობასთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაცია?

**პასუხი:** ჩვენ ვილაპარაკეთ ავღანეთზე, კამპუჩიაზე, კორეის ნახევარკუნძულის მდგომარეობაზე. მე შემექმნა შთაბეჭდილება — მართალია, არ გვეყო დრო დეტალურად გაგვეზიარებინა აზრი ამ უკანასკნელ საკითხზე, — რომ ამერიკის მხარეს აქვს გაგება, რომ აქ საჭიროა რაღაც წინსვლა. ჩვენი პარტნიორები მოლაპარაკებაზე ნეგატიურად ახასიათებდნენ ჩრდილოეთ კორეის პოზიციას. ჩვენ კი, პირიქით, პრეზიდენტს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოზიცია წარმოვუდგინეთ როგორც კონსტრუქციული, დიალოგისათვის განწყობილი. ამასთან იგი მზად არის ორმხრივ საფუძველზეც და ამერიკელთა მონაწილეობითაც აწარმოოს აზრთა გაზიარება ახლანდელი მდგომარეობის და გაერთიანების პერსპექტივების შესახებ, იმ პრინციპების შესახებ, რომელთა საფუძველზე უნდა მოხდეს ერის გაერთიანება. ჩვენ გამოვთქვით აზრი, რომ აქ სწორედ არის შესაძლებლობა, რომელიც დღემდე არ გამოუყენებიათ.

**კითხვა** (ჟურნალი „ალ-ჰავადისი", ლიბანი): თქვენ ბრძანეთ, რომ უმაღლესი დონის ამ შეხვედრის დროს მოხდა ახლო აღმოსავლეთის პრობლემაში პოზიციების დაახლოება. ხომ ვერ გვეტყოდით უფრო ზუსტად, სახელდობრ რაში ემთხვევა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის პოზიციები ამ საკითხში? ექნება თუ არა ბატონ შულცს რაიმე ერთობლივი პოზიცია ამ რეგიონში თავისი მოგზაურობისათვის? და მეორე. გუშინ ბატონ რეიგანს არაფერი არ უთქვამს ახლო აღმოსავლეთზე, როცა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა წინაშე გამოვიდა. დღეს თქვენ არაფერი არ გითქვამთ სპარსეთის ყურის რაიონში მდგომარეობის თაობაზე. მაგრამ თქვენ დღეს ლაპარაკობდით იმაზე, რომ ავღანეთი შეიძლება გამოვიყენოთ მაგალითად კამპუჩიასა და სხვა ქვეყნებში ანალოგიური სიტუაციის მოსაგვარებლად. ხომ არ დააზუსტებდით ამ საკითხს?

**პასუხი:** რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთს. ერთხელ კიდევ მინდა გავიმეორო, რომ, ჯერ ერთი, არის ელემენტები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ პოზიციების დაახლოება. უწინარეს ყოვლისა, იმის აღიარება, რომ საჭიროა საერთაშორისო კონფერენცია. მეორე, არის გაგება, რომ კონფერენციის ფარგლებში შეიძლება ამოქმედდეს სხვა ფორუმები. არის იმის გაგება, რომ უნდა შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი რეზოლუციების დებულებანი. ვფიქრობ, არის მომენტები, რომლებიც დამუშავებას მოითხოვს. ეს არის კონფერენციის არსი, შინაარსი, პალესტინის მოლაპარაკების პროცესში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მონაწილეობის საკითხი. და ბოლოს, ამერიკის შეერთებულ შტატებს ესმის, რომ საბჭოთა კავშირმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მოწესრიგებაში. ჩვენ შესაძლებლობა მივეცით ამერიკელებს რამდენიმე წელიწადს თვითონ ემუშავათ. მათ იმუშავეს და დაინახეს, რომ არაფერი არ გამოდის. მას შემდეგ, რაც ამაში დარწმუნდნენ, განახლდა დიალოგი ჩვენთან.

ჩვენი მხრივ მზად ვართ კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის.

რაც შეეხება სპარსეთის ყურეს, ეს საკითხი საკმაოდ საფუძვლიანად განვიხილეთ. ჩვენ ისეთ თვალსაზრისს ვადგავართ, რომ იქ ძალზე სერიოზული კონფლიქტია. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა იგი არ განვითარდეს სახიფათო მიმართულებით. ამიტომაც ვამბობთ: ბოლომდე უნდა ამოვწუროთ უშიშროების საბჭოს პირველ რეზოლუციაში მოცემული პოტენციალი, მივცეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ან მის წარმომადგენელს შესაძლებლობა გამოიყენოს ეს პოტენციალი, შეაწყვეტინოს საომარი მოქმედება. ვფიქრობ, სწორად მოვითხოვთ თავშეკავებულობას, გამძლეობას. ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ ეს კონფლიქტი მოწესრიგდეს. რეალურია საფრთხე, რომ მის გაფართოებას საშიში შედეგები მოჰყვება. ამერიკელებს მოვუწოდებთ: მოდით, განვტვირთოთ სპარსეთის ყურე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნისაგან. უმჯობესია შევიყვანოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალები, რათა არ ვუბიძგოთ პროცესს არასწორი, საშიში მიმართულებით.

**კითხვა** (გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი"; ამერიკის შეერთებული შტატები): უფრო დაწვრილებით ხომ არ დააზუსტებდით საბჭოთა პოზიციას სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის საკითხში. ხომ არ გაგრძნობინათ ამერიკის მხარემ, რომ არის ჩვეულებრივი შეიარაღების თაობაზე ვენის შეხვედრისათვის მანდატის შესახებ საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობა?

**პასუხი:** ერთობლივ განცხადებაში არის ჩანაწერი, რომელიც ადასტურებს ვაშინგტონის განცხადებას და იმის აღიარებას, რომ საჭიროა ინტენსიური მუშაობა ამ სფეროში ამერიკის წინადადებების, კერძოდ, გადამწოდების, სენსორული მოწყობილობების შესახებ წინადადებების საფუძველზეც და ჩვენი წინადადებების საფუძველზეც. ასე რომ, იქ მაინც არის კონკრეტიკაც, რომელიც მოლაპარაკების მონაწილეებმა საფუძვლიანად უნდა განიხილონ.

მეორე. მე ყოველთვის ზუსტი დაფორმულების მომხრე ვარ, მაგრამ, ალბათ, ამ შემთხვევაში ზუსტი არ ვიყავი. მე ხომ, რაც უნდა იყოს, დიპლომატი არ გახლავართ. ჟენევაში გაიმართა აზრთა გაზიარება ვენის შეხვედრის საკითხებზე ამ კონფერენციის მანდატის შესახებ და, კერძოდ, იქ მიუახლოვდნენ მოლაპარაკების საგნის საკითხს. ახლა რაც შეეხება იმას, მიღწეული იყო თუ არა ჩვენი ორი მხარის, ამერიკისა და საბჭოთა მხარის ურთიერთგაგება. იქ იყო ფორმულა, რომელიც ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ წაიკითხა ამ შეხვედრაზე. ბატონმა შულცმა დაადასტურა, რომ, დიახ, სწორედ ასე იყო, ეს ფორმულა გადაეცათ ვენის მოლაპარაკების მონაწილეებს, მაგრამ განხილვის პროცესი იქ ბოლომდე არ მიუყვანიათ. აქ, მოსკოვში, იგი ისევ და ისევ იყო გულმოდგინე კვლევის ობიექტი, მაგრამ ეს სამუშაო არ დამთავრებულა იმ მიზეზების გამო, რომლებზეც უკვე მოგახსენეთ.

**კითხვა** (ამერიკის შეერთებული შტატების გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი"): ბატონო გენერალურო მდივანო, ვაშინგტონში ყოფნისას თქვენ უთხარით ბატონ რეიგანს, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის შეუწყვიტოს იარაღის მიწოდება ნიკარაგუას, თუ შეერთებული შტატები შეწყვეტს კონტრრევოლუციონერთა დაფინანსებას. შემდეგ, მოგვიანებით, ბატონმა შევარდნაძემ და ჯ. შულცმა განიხილეს ეს საკითხი და გვითხრეს, რომ საბჭოთა პოზიცია არ შეცვლილა, ესე იგი, თუ შეერთებული შტატები შეწყვეტს მიწოდებას ცენტრალურ ამერიკაში, საბჭოთა კავშირი შეწყვეტს ნიკარაგუისათვის მიწოდებას. ადასტურებთ, რომ პოზიციის ასეთი შეცვლა სწორია და რომ თქვენ განიხილეთ ეს საკითხი ცენტრალურ ამერიკაში არსებული ვითარების განხილვის კონტექსტით?

**პასუხი:** ჩვენ დღეს მეტად დაწვრილებით განვიხილეთ ეს პრობლემა, ამასთან ისტორიაში ექსკურსით. ასეთი ექსკურსის დროს ჩნდება სხვადასხვა თვალსაზრისი და განმარტება. მე წამოვაყენე წინადადება ვიხელმძღვანელოთ დღევანდელი რეალობებით. არის კონტადორული პროცესი, არის გვატემალის შეთანხმება, არის ზავი, არის მოძრაობა პოლიტიკური მოწესრიგების ძიების მიმართულებით. საჭიროა ამ პროცესზე დაყრდნობით მხარი დავუჭიროთ მას, რითაც შესაძლებლობას მივცემთ ნიკარაგუაში დაპირისპირებულ ძალებს სხვა ლათინურამერიკელების, ცენტრალური ამერიკის წარმომადგენლების მონაწილეობით, გადაწყვიტონ ეს საკითხი.

მე ვუთხარი პრეზიდენტ რეიგანს, რომ ვადასტურებ იმას, რაც ითქვა თეთრ სახლში სეირნობის დროს: მოდით, დავჯერდეთ პოლიციური იარაღის მიწოდებას.

საერთოდ, ამ თემას კვლავაც დავამუშავებთ. ჩვენ მოვუწოდებთ ამერიკელებს ყურადღებით მოეკიდონ იმას, რომ ამ პროცესმა ისეთ სტადიას მიაღწია, როცა მისი პოზიტიურად დამთავრება შეიძლება. იქ გაჩნდა ვიღაც პოლკოვნიკი... ჯერ კიდევ სომოსას არმიისა. იგი კარგად ემსახურებოდა სომოსას, ახლა ემსახურება ამერიკას. იგი ყოველნაირად ცდილობს ჩაშალოს ეს პროცესი. არ ვიცი, იქნებ პოლკოვნიკი სერჟანტით შეეცვალათ, იგი უფრო ახლოს იქნებოდა ხალხთან და საქმეც სწრაფად წაიწევდა წინ. (გამოცოცხლება დარბაზში).

**კითხვა** (საბჭოთა ტელევიზია): თუ ვილაპარაკებთ გარდაქმნის საგარეო-პოლიტიკურ ასპექტებზე, მან შორს შეაღწია აღმოსავლეთში, სახალინს გასცდა, დასავლეთში — ბრესტს გასცდა. მხედველობაში მაქვს, ის, რომ საზოგადოებრიობა, უბრალო ადამიანები უდიდესი ყურადღებით ეკიდებიან იმას, რაც ხდება, სურთ ჩასწვდნენ ამ წმიდათაწმიდა საქმეს. ასობით ადამიანი წარმოგზავნა მოსკოვში მთელი მსოფლიოს ომისსაწინააღმდეგო ორგანიზაციებმა, თვალს ადევნებდნენ მოლაპარაკებას. ვიცი, რომ ხვალ უნდა შეხვდეთ საზოგადოებრივ და ომისსაწინააღმდეგო ორგანიზაციებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, რა აზრის ხართ მთელ იმ პროცესში საზოგადოებრიობისა და სახალხო დიპლომატიის როლზე, რომელიც მიმდინარეობს ბოლო სამი წლის განმავლობაში?

**პასუხი:** არაერთხელ გამომითქვამს აზრი ამის თაობაზე. მაგრამ დღეს, ვაჯამებ რა ამას, შემიძლია ვთქვა: ჩვენ დიდ შეცდომას დავუშვებდით პოლიტიკაში, მხედველობაში რომ არ მიგვეღო, რაოდენ ღრმა ცვლილებები მოხდა მსოფლიო საზოგადოებრიობის, დედამიწის უბრალო ადამიანების განწყობილებაში. ისინი დაღალა ომებმა, დაძაბულობამ, კონფლიქტებმა, იმან, რომ მოზღვავებული ინფორმაცია ბუნებას უფუჭებს და კიდევ უფრო უარეს მომავალს უქადის. ადამიანებმა იგრძნეს, რომ მათი ნება, სიტყვა, სურვილი, მისწრაფება და ინტერესები ყოველთვის არ არის ასახული რეალურ პოლიტიკაში. ჰოდა, მათ დაიწყეს მოქმედება, ერთიანდებიან შესაბამის ორგანიზაციებში, ამოქმედებენ რაც აქვთ. ამ მოძრაობებში ვხედავთ უბრალო ადამიანებს, ინტელიგენტებს, ექიმებს, მეცნიერებსა თუ ყოფილ სამხედროებს, ვეტერანებსა და ახალგაზრდობას, ბავშვებს. ვფიქრობ, ყველაფერი ეს ძალზე სერიოზულია. თუ ვინმეს ჰგონია, თითქოს აქ ვიღაცის „ხელი" ერიოს, მაშინ მე მინდა მას ხელი ჩამოვართვა. იმიტომ, რომ ეს არის ძლიერი ხელი, რომელმაც აამოქმედა მძლავრი ძალები.

მსოფლიო გრძნობს, რომ საჭიროა ცვლილებები თვით ცხოვრებამ დააყენა ისეთი საკითხები, რომ ადამიანებმა იგრძნეს პოლიტიკაში [illegible] ცილებლობა. მხოლოდ მასების გამოცდილებით, მისი განწყობილებით, მათი ნებით განოყიერებული პოლიტიკა, რომელიც იყენებს მეცნიერთა კომპეტენციას, გამდიდრებულია ზნეობით, იმ წვლილით, რომლის შეტანა შეუძლია ინტელიგენციას, კულტურის წარმომადგენლებს, მხოლოდ ასეთი პოლიტიკაა პერსპექტიული. რეალური პროცესების ადეკვატურ ასეთ პოლიტიკას აქვს მხოლოდ დღეს სიცოცხლის უფლება.

**კითხვა** (შეერთებული შტატების ასოშიეიტედ პრესის სააგენტო): ბატონო გენერალურო მდივანო, ეთანხმებით თუ არა დაძაბულობის შენელების განვლილი პერიოდის ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ისეთ შეფასებას, როცა ძირითადი ყურადღება ეპყრობოდა ეკონომიკურ თანამშრომლობასა და პოლიტიკურ მოთმინებას, თქვენი აზრით, რამდენად შეიძლება და რამდენად უნდა იყოს ურთიერთდაკავშირებული ორი სახელმწიფო ეკონომიკური თვალსაზრისით?

**პასუხი:** ვფიქრობ, რომ დღევანდელი რეალობანი, ხვალინდელი რეალობანიც, თუ მათ სერიოზულად გავაანალიზებთ, იმ აზრს ბადებს, რომ უნდა ვითანამშრომლოთ, რაც შეესაბამება ჩვენი ხალხების ინტერესებს, მთელი მსოფლიოს ინტერესებს. მომავალი მსოფლიო ისეთად მესახება, რომელშიც ამერიკელი და საბჭოთა ხალხები ითანამშრომლებენ, მათ შორის ეკონომიკის სფეროში, გაუზიარებენ ერთმანეთს თავიანთი შრომის ნაყოფს, შეავსებენ ერთმანეთს. ამიტომაც დამებადა იდეა განვახორციელოთ ერთობლივი გაფრენა მარსზე, რათა შევეჯიბროთ არა იმაში, ვინ ვის აჯობებს შეიარაღებაში, არამედ იმაში, რომ გავაერთიანოთ ჩვენი მეცნიერული, ეკონომიკური, ინტელექტუალური პოტენციალები და ამ მიმართულებით თანამშრომლობის მაგალითი გავხდეთ. ეს ძალზე შეუწყობდა ხელს პროგრესს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რაც გააფართოვებდა ჩვენი თანამშრომლობის ფარგლებს, ხელს შეუწყობდა ჩვენს ხალხებს შორის ნდობის განმტკიცებას. გუშინ პრეზიდენტი კუთხეში მივიმწყვდიეთ ამ საკითხების თაობაზე, რისთვისაც გამოვიყენე დაუშვებელი ხერხები, საჯაროდ, ხალხის წინაშე. და მან თქვა: „დიახ, ჩვენ მოვიფიქრებთ". ჩემი აზრით, ეს სიტყვები შეიცავს აზრს— დავიწყოთ ამ პრობლემების შესწავლა.

ახლა მინდა გამოგემშვიდობოთ. უნდა შემოინახოთ ძალები პრეზიდენტ რეიგანთან შესახვედრად. მადლობას მოგახსენებთ აქტიური მონაწილეობისათვის და ბოდიშს ვიხდი, იმისათვის, რომ იქნებ, ვერ ვუპასუხე ყველა კითხვას. აი რამდენი ხელია აწეული. მაგრამ მივესალმები უდიდეს ინტერესს, რომლითაც ეკიდებით საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეოთხე უმაღლესი დონის შეხვედრას და მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის. ნახვამდის.

პრესკონფერენციას ესწრებოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი დ. ტ. იაზოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ს. ჩერნიაევი.

(საკდესი).

# ძმობის გადაშლილი წიგნი

## დამთავრდა საქართველოს სს რესპუბლიკაში ტომსკის ოლქის კულტურის დღეები

**ციმბირის** მხარის ტალანტების ცისარტყელა ოთხი დღის განმავლობაში დაჰნათოდა თავს საქართველოს. რუსი და ქართველი ხალხების მუზებისა და სულიერი ნათესაობის ამაღლებელ დღესასწაულად გადაიქცა ტომსკის ოლქის კულტურის დღეები, რომელიც 2 ივნისს დიდი საზეიმო საღამოთი დამთავრდა თბილისში.

გულთბილად ხვდებოდნენ საქართველოს დედაქალაქის, რესპუბლიკის სხვა ქალაქების მშრომელები ციმბირის წარმოგზავნილებს. საუკეთესო საკონცერტო და საგამოფენო დარბაზები დაეთმოთ ძვირფას სტუმრებს.

ვრცელი და მრავალფეროვანი იყო დათვალიერების პროგრამა, რომელმაც მაყურებელთა ფართო ინტერესი გამოიწვია.

საქართველოში ტომსკის ოლქის კულტურის დღეები დამთავრდა. ამ დღეებმა კიდევ ერთხელ ცხადყო რაოდენ ფართო, მრავალფეროვანი და ნაყოფიერია ტომსკისა და საქართველოს შემოქმედებითი, სამეცნიერო და შრომითი კოლექტივების ურთიერთობა, როგორ არის გაცისკროვნებული საბჭოთა საზოგადოებაში მიმდინარე რევოლუციური გარდაქმნის შუქით ჩვენი მიღწევები და ჩანაფიქრები.

დღესასწაულის დასკვნითი აკორდი გახდა საზეიმო კონცერტი, რომელიც 2 ივნისს გაიმართა თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში.

ავანსცენაზე ხდიან საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გუმბარიძემ გულითადი მადლობა გადაუხადა საქართველოში კულტურის დღეების ტომსკელ მონაწილეებს იმისათვის, რომ მათ შესაძლებლობა მოგვცეს კიდევ ერთხელ ვზიარებოდით რუსი ხალხის სულიერ ღირებულებებს.

გ. გუმბარიძემ დიდი მადლობა გადაუხადა ტომსკის ოლქის წარმოგზავნილებს ძმური შეხვედრების სიხარულისა და შესანიშნავი ხელოვნებისათვის.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა პარტიის ტომსკის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ა. ზარემბომ.

ტომსკის ოლქის ხელმძღვანელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა სახელით მან გულითადი მადლობა გადაუხადა საქართველოს მშრომელებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მთავრობას გულთბილი შეხვედრებისა და გულითადი მასპინძლობისათვის, რომელიც გაუწიეს ოლქის წარმომადგენლებს საქართველოს მიწა-წყალზე ტომსკის კულტურის დღესასწაულის დროს.

შემდეგ სცენა დაუთმეს ციმბირის კულტურის წარმომადგენლებს. დასკვნითი კონცერტი გახსნა ტომსკის კუიბიშევის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგუნდო კაპელამ ვ. სოტნიკოვის ხელმძღვანელობით. სტუდენტურმა თვითმოქმედმა კოლექტივმა, რომელსაც ლენინური კომკავშირის პრემია მიენიჭა, მსმენელები თავისი დიდი, შთაგონებული ხელოვნებით გაახარა.

„მეგობრობის გვირგვინი" — ასე უწოდა თავის პროგრამას ტომსკის სიმფონიურმა ორკესტრმა, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია ილმარ ლაპინში. მსოფლიო კლასიკოსების ნაწარმოებებთან ერთად ორკესტრის პროგრამაში შევიდა ზაქარია ფალიაშვილის მუსიკა. თბილისის ოპერის თეატრში ტომსკელთა შესრულებით აჟღერდა ოპერა „დაისის" უვერტიურა. სიმფონიურ ორკესტრთან ერთად სოლო შეასრულა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა ნანა იაშვილმა, რომელმაც დაუკრა „ფანტაზია" ბიზე-ვაქსმანის ოპერა „კარმენის" თემაზე.

ტომსკის საოლქო ფილარმონიის სიმებიანი კვარტეტი თბილისელი მსმენელების წინაშე წარსდგა სულხან ცინცაძის მეორე სიმებიანი კვარტეტის საინტერესო ინტერპრეტაციით.

სადღესასწაულო კონცერტმა კიდევ ერთხელ ცხადყო რუსული და ქართული კულტურების სულიერი ნათესაობა, რომელიც ნაყოფიერად ვითარდება ჩვენს დღეებში.

ტომსკის ოლქის კულტურის დღეების საზეიმო დახურვას ესწრებოდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. გლურჯიძე, გ. ნ. ენუქიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ნ. ა. ფოფხაძე, ო. ე. ჩერქეზია, ვ. მ. სირაძე, ტომსკის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. ვისოცკი. (საქინფორმი).

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით ტომსკის ოლქის შემოქმედებითი კოლექტივების დაჯილდოების შესახებ

**საქართველოს** სს რესპუბლიკაში ტომსკის ოლქის კულტურის დღეების ფარგლებში წარმატებული გასტროლებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ:

ტომსკის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი,

ტომსკის ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგუნდო კაპელა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 2 ივნისი.

# გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

**განსაკუთრებით ახლობელი**

**ასპინძელებისათვის** განსაკუთრებით ახლობელი და ძვირფასია დიდი რუსთაველი. ამიტომ შემთხვევითი სულაც არ იყო, რომ რესპუბლიკაში პირველად ასპინძაში შეიქმნა შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმი, რომელსაც ვარძიის 800 წლისთავის საიუბილეო დღეებში ჩაეყარა საფუძველი. თანდათან სულ უფრო სრულყოფილი ხდება მისი საექსპოზიციო ფონდი.

რაიონის მშრომელები ერთ-ერთი პირველნი იყვნენ იმათგან, ვინც მოწონებით გამოეხმაურნენ გაზეთ „კომუნისტის" გამოქვეყნებულ შ. ძიძიგურისა („ერთად ვიფიქროთ და გადავწყვიტოთ") და რ. ჯაფარიძის („ქანდარაზე ეშმაკი ზის") წერილებს.

ამ დღეებში გაიმართა რუსთაველის საზოგადოების რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია, რომელმაც აირჩია რუსთაველის საზოგადოების რაიონული ორგანიზაციის გამგეობა, პრეზიდიუმი, სარევიზიო კომისია.

რუსთაველის საზოგადოების რაიონული ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი შ. ნასყიდაშვილი. ორგანიზაციის ინიციატივით უკვე გაკეთდა პირველი სასიკეთო საქმე — მიმდინარეობს რაიონის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების მოვლა-დასუფთავების სამუშაოები.

საინიციატივო ჯგუფების აქტიური მონაწილეობით რაიონის ბევრ შრომით კოლექტივში, საწარმოსა და ორგანიზაცია-დაწესებულებაში შეიქმნა რუსთაველის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები. რაიონის სპეციანგარიშზე უკვე შეიტანეს 720 მანეთი.

▼ ▼

**სჯობს სახელისა მოხვეჭა**

**ქობულეთის** რაიონის სოფელ ალამბრის საშუალო სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა ჩამოაყალიბა რუსთაველის საზოგადოების პირველადი ორგანიზაცია. ორგანიზაციის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს სოფლის მშრომელებმაც. საზოგადოების წევრები გახდნენ სოციალისტური შრომის გმირი ნ. ხვიჩია. ლენინის ორდენოსანი მეჩაიე ნ. მიქელაძე, სამამულო ომის ვეტერანი რ. ტაკიძე და სხვები.

სკოლაში საზოგადოების მუშაობისათვის გამოჰყვეს კაბინეტი. უკვე შეუდგნენ საგამოფენო ექსპონატების შეგროვებას. დაიგეგმა მრავალი ღონისძიება.

▼ ▼

**იუბილარი ბოტანიკური ბაღი**

„სამოთხის წალკოტს" უწოდებენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკურ ბაღს, რომელსაც 75 წელი შეუსრულდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბოტანიკურ ბაღში გაიშალა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, აქ ბინა დაიდო მსოფლიოს ყველა კონტინენტის უიშვიათესმა მცენარეულობამ, ათვისებულ იქნა ახალი ფართობები. ბოტანიკურ ბაღში ამჟამად კვლევას ეწევა მეცნიერებათა ერთი დოქტორი და 12 კანდიდატი. იგი სამეცნიერო კადრების ნამდვილ სამჭედლოდ გადაიქცა.

გაიმართა საიუბილეო სესია, რომელზეც მოწვეულნი იყვნენ ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის ცნობილი ბოტანიკოსები.

▼ ▼

**თეატრალური ხელოვნების ფესტივალზე**

ამ დღეებში ზესტაფონის რაიონის უ. ჩხეიძის სახელობის სახალხო თეატრის კოლექტივი მიიწვიეს სომხეთის სსრ თუმანიანის რაიონში გამართულ თეატრალურ ფესტივალზე, რომლის სახელწოდებაა „ლორი-88".

ფესტივალზე ადგილობრივი კოლექტივების და ზესტაფონელთა გარდა მონაწილეობდნენ აგრეთვე ცხაკაიას და კრასნოდარის ოლქის პავლოვსკის რაიონის სახალხო თეატრები. ზესტაფონელებმა წარმოადგინეს ვ. კანდელაკის „ხევსურული ბალადა" და მაღალი შეფასებაც დაიმსახურეს. საუკეთესო რეჟისურისათვის თეატრის ხელმძღვანელმა გ. წერეთელმა სპეციალური ჯილდო მიიღო, ხოლო მსახიობებს რენე და ნინო აბესაძეებს, ციცინო თაბაგარს, ბადრი ტაბატაძეს და მზეტარ ჯ. კახნიაშვილს გადაეცათ დიპლომები.

▼ ▼

**დაჯილდოება**

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა ორგანოებსა და ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკური გაერთიანება „საქწიგნის" მმართველი ამხ. რევაზ ვასილის ძე პიპინაძე დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

# ვრცელდება ჰუმანური, დიდსულოვანი ინიციატივა

**თბილისის** ვ. ი. ლენინის სახელობის „ელმავალმშენებლის" საწარმოო გაერთიანების კოლექტივი, რომელიც არაერთი თაოსნობის ინიციატორია და გამუდმებით ეძიებს გზებსა და საშუალებებს სოციალური საკითხების უკეთ მოგვარებისათვის, განსაკუთრებით დააინტერესა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებამ ნაკლებად უზრუნველყოფილი პენსიონერებისა და მათი ოჯახების, მარტოხელა მოხუცებული მოქალაქეების მატერიალური კეთილდღეობის ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე. მათ გადაწყვიტეს უფრო მეტად იზრუნონ ასეთ ადამიანებზე და იშვა იდეა — რესპუბლიკის შრომითმა კოლექტივებმა შექმნან მარტოხელა შრომისუუნარო მოხუცებისა და ინვალიდებისათვის დახმარების ფონდი. ამ მოსაზრების განხორციელებამ მოიცვა თითქმის ყველა საამქრო, ყველა უბანი. ხოლო მიმდინარე წლის გაზაფხულის დამდეგს ეს საკითხი განიხილა შრომითი კოლექტივის საბჭოს კრებამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ხელმძღვანელმა მუშაკებმა. ორი დღის შემდეგ კი ელმავალმშენებელთა საწარმოო გაერთიანებაში მოეწყო პირველი შაბათობა, გამომუშავებული სახსრები გადაირიცხა მარტოხელა მოხუცებულთა და ინვალიდთა სასარგებლოდ.

ამასთანავე საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის შრომით კოლექტივებს, რათა მიბაძონ ელმავალმშენებელთა მაგალითს, შექმნან მარტოხელა, შრომისუუნარო მოხუცთა და ინვალიდთა დახმარების ფონდი, მასში გადარიცხონ ყოველწლიურად სპეციალურად ორგანიზებულ შაბათობებზე გამომუშავებული სახსრები. მიმართვამ დაუყოვნებლივ ჰპოვა გამოხმაურება რესპუბლიკის მრავალ საწარმოსა და ორგანიზაციაში.

ამ დღეებში ელმავალმშენებელთა ეს დიდსულოვანი ინიციატივა განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭომ და მიიღო შესაბამისი დადგენილება. დადგენილებით მოწონებული იქნა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „ელმავალმშენებლის" საწარმოო გაერთიანების კოლექტივის ინიციატივა და ნება დაერთო მას, როგორც გამონაკლისი, მოაწყოს შაბათობები ყოველი წლის ივნისის პირველ შაბათს და მიღებული სახსრებით შექმნას მარტოხელა შრომისუუნარო მოხუცთა და ინვალიდთა დახმარების ფონდი.

საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტებმა, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტებმა უნდა ურჩიონ შრომით კოლექტივებს, რომ აღნიშნული შაბათობები მოაწყონ ყოველწლიურად ივნისის პირველ შაბათს და ამ ღონისძიების შედეგად გამომუშავებული სახსრები გადარიცხონ მარტოხელა შრომისუუნარო მოხუცთა და ინვალიდთა დახმარების ფონდში.

სსრ კავშირის საბინაო სოციალური ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა ბანკმა უნდა გახსნას სპეციალური ანგარიში, რომელზედაც შემოსული სახსრები გადაირიცხება შესაბამის ფონდში. საქართველოს სს რესპუბლიკის პროფსაბჭომ, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ, ფინანსთა სამინისტრომ და ომისა და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკურმა საბჭომ ერთი თვის განმავლობაში უნდა შეიმუშაონ და დაამტკიცონ დებულება ფონდის შესახებ და მისი მოხმარების განაწესი.

ასე, რომ პირველი შაბათობები, რომლებზედაც გამომუშავებული სახსრები გადაირიცხება მარტოხელა შრომისუუნარო მოხუცებისა და ინვალიდების სასარგებლოდ, მოეწყობა 4 ივნისს.

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისაგან

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია თავისი წესდების 21-ე მუხლის შესაბამისად აქვეყნებს იმ პირთა სიას, რომლებიც აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) და წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატებად დაასახელეს სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო საბჭოებმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსებმა და წევრ-კორესპონდენტებმა გაზეთ „კომუნისტში" 1988 წლის 15 აპრილს გამოქვეყნებული განცხადების საფუძველზე:**

## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდიდატები

### მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება

#### მათემატიკა

ბერიკაშვილი ნოდარ ალექსის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ბურჭულაძე თენგიზ ვლადიმერის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

გეგელია თენგიზ გიორგის ძე— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ვახანია ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ინასარიძე ხვედრი ნიკოლოზის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

კილურაძე ივანე ტარიელის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

მაღნარაძე ლევან გიორგის ძე— ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქიქიაშვილი ლევან ვლადიმერის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ხარატიშვილი გურამ ლევანის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ნუცუბიძე ნოდარ ნიკოლოზის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ყურაშვილი ბორის ეპიფანეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

#### ფიზიკა

ამაღლობელი ნოდარ სარდიონის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

კოპალეიშვილი თეიმურაზ ისაკის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ლომინაძე ჯუმბერ გიორგის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

სალუქვაძე რევაზ გიორგის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

სანაძე თენგიზ ივანეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

### დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება

#### გეოლოგია, გეოფიზიკა, ჰიდროლოგია

ადამია შოთა ალექსანდრეს ძე— გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ალექსიძე მერაბ ალექსანდრეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

გამყრელიძე ერეკლე პეტრეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

სვანიძე გივი გედეონის ძე — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ჯანელიძე თამაზ ბესარიონის ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი

### გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება

#### მანქანათმცოდნეობა, მანქანათმშენებლობა

ხვინგია მიხეილ ვლადიმერის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

### ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება

#### ქიმია და ქიმიური ტექნოლოგია

ანდრონიკაშვილი თეიმურაზ გიორგის ძე -- საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

გველესიანი გურამ გიორგის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ლაღიძე რამაზ მიტროფანეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

მჭედლიშვილი (მჭედლოვ) -პეტროსიანი ოთარ პეტრეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ოკლეი ლეონიდ ნიკოლოზის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ქემერტელიძე ეთერი პეტრეს ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ცინცაძე გივი ვასილის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ხანანაშვილი ლოტარი მიხეილის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ჯაფარიძე ლევან ნიკოლოზის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

### ბიოლოგიის განყოფილება

#### ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგია

ზაალიშვილი მალხაზ მიხეილის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

კვესიტაძე გიორგი ივანეს ძე— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ლომსაძე ბორის არჩილის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

### ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილება

#### ფიზიოლოგია და ექსპერიმენტული მედიცინა

ასათიანი არჩილ ვლადიმერის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ბახუტაშვილი ვლადიმერ ივანეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

გოგებაშვილი ნოდარ ვლადიმერის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მჭედლიშვილი გიორგი იოსების ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნანეიშვილი ბიძინა რაჟდენის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

სიხარულიძე ალექსი ივანეს ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჭილაძე ზურაბ ალექსანდრეს ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

### საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

#### ისტორია და არქეოლოგია

დუმბაძე მამია ქიშვარდის ძე— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

კაჭარავა იური მიხეილის ძე— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ლორთქიფანიძე მარიამ დავითის ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ლორთქიფანიძე ოთარ დავითის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სურგულაძე აკაკი ნესტორის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ხახუტაიშვილი დავით ახმედის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ჯაფარიძე ოთარ მიხეილის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

#### ფილოსოფია

კეშელავა ვარლამ ვარლამის ძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მიქელაძე ზურაბ ნიკოლოზის ძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჭავჭავაძე ნიკოლოზ ზურაბის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ხიდაშელი შალვა ვასილის ძე— ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

### ენისა და ლიტერატურის განყოფილება

#### ენათმეცნიერება

კახაძე ოტია ილარიონის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ღლონტი ალექსანდრე ანდრიას ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ცერცვაძე ილია ივანეს ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

წერეთელი კონსტანტინე გრიგოლის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

#### ლიტერატურათმცოდნეობა

გაწერელია აკაკი კონსტანტინეს ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კალანდაძე ალექსანდრე პავლეს ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ცაიშვილი სარგის სოლომონის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ციციშვილი გიორგი შალვას ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატები

### მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება

#### მათემატიკა

ბალაძე დურსუნ ოსმანის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბანცური რევაზ დავითის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ბაშელეიშვილი მიხეილ ონოფრეს ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გვაზავა ჯონდო კონსტანტინეს ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

გოგოლაძე ლერი დავითის ძე— ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

გორდეზიანი დავით გიორგის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თოფურია სერგო ბაგრატის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კოკილაშვილი ვახტანგ მიხეილის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კორძაძე რევაზ ალექსანდრეს ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მანჯავიძე გიორგი თერაფონტეს ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნადარაია ელიზბარ აკაკის ძე— ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ფხაკაძე შალვა სამსონის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

წერეთელი ოთარ დიმიტრის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჭანტურია ზაურ ამბროსის ძე— ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ხარაზიშვილი ალექსანდრე ბექანის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ხატიაშვილი გაიოზ მიხეილის ძე —ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

#### ფიზიკა

ბეროზაშვილი იური ნიკოლოზის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ვაშაკიძე ივანე შალვას ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვაჩნაძე გიორგი ემანოკის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ზვიადაძე მიხეილ დავითის ძე— ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

კეკელიძე ნოდარ პროკლეს ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კერვალიშვილი პაატა ჯამლეთის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

მამალაძე იური გიორგის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

მესტვირიშვილი მირიან ალექსის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

როინიშვილი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

სანიკიძე ჯუმბერ გრიგოლის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სარალიძე ზურაბ კარპეს ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ტყებუჩავა ფელიქს გრიგოლის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ქაჩლიშვილი ზაურ სოლომონის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქევანიშვილი გურამ შალვას ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქუთელია ელგუჯა რაჟდენის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ყაყიჩაშვილი შერმაზან დიმიტრის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

შეყრილაძე ირაკლი გენადის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ცინცაძე გივი ალექსანდრეს ძე— ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ცინცაძე ნოდარ ლევანის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჭეიშვილი ომარ დავითის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ჭილაია გურამ სერგის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ხელაშვილი ანზორ ალექსანდრეს ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ჯიბუტი რევაზ ილიას ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

#### ასტრონომია

კილაძე როლან ილიას ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

### დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება

#### გეოლოგია, გეოფიზიკა

ბერიძე მერაბ ალექსანდრეს ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ბუაჩიძე გურამ იოსების ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ზაუტაშვილი ბერდი ზაქარიას ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი

თავართქილაძე კუკური ანდრიას ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

თვალჭრელიძე ალექსანდრე გიორგის ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ივანიცკი თენგიზ ვახტანგის ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

იოსელიანი მიხეილ სტეფანეს ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ლომინაძე თამაზ არჩილის ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სიხარულიძე დავით ილიას ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქართველიშვილი კარლო ზაქარიას ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ღამბაშიძე რამაზ აბოს ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

შენგელაია გურამ შალვას ძე— გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შენგელია დავით მიხეილის ძე— გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჩიხრაძე გიორგი ალისტორის ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ჭელიძე თამაზ ლუკას ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი

ხანთაძე არჩილ გიორგის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ხორგუანი ვლადიმერ გრამიტონის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

### გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება

#### მანქანათმცოდნეობა, მანქანათმშენებლობა

ბეთანელი არჩილ იოსების ძე— ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბოკუჩავა გივი ვლადიმერის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვარსიმაშვილი რევაზ შალვას ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კალანდარიშვილი არნოლდ გალაქტიონის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

მარგველაშვილი ოთარ ვლადიმერის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მახარობლიძე რევაზ მეთოდეს ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნოზაძე ალექსანდრე დავითის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლუდუშაური ელგუჯა გიორგის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

წერუაშვილი გიორგი ესტატეს ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჯებაშვილი იოველ იაკინთეს ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

#### სამთო მეცნიერებანი

ბეთანელი კონსტანტინე პეტრეს ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მახარაძე ლეონ ილიას ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სტურუა რევაზ ივანეს ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჯაფარიძე ლევან აბელის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

#### სამშენებლო მექანიკა

ვალიშვილი ნოდარ ვარლამის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კიზირია გივი ბართლომეს ძე— ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლოსაბერიძე ანდრო ალექსანდრეს ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მარჯანიშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

მიქელაძე მერაბ შალვას ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლუდუშაური ირაკლი იოსების ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

წილოსანი ზურაბ ნიკოლოზის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

#### მართვის სისტემები, მათ შორის ავტომატიზებული და ინფორმატიკის საშუალებანი

ავალიანი ჯემალ იოსების ძე— ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გელაშვილი ნოდარ ვლადიმერის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მუსხელიშვილი გურამ ნიკოლოზის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რამიშვილი გურამ სოლომონის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

ქანთარია გივი ბენიამინის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჩოგოვაძე გოჩა გიორგის ძე— ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ხომერიკი ოთარ ყვიროსის ძე— ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

### ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება

#### ქიმია, ქიმიური ტექნოლოგია და მეტალურგია

აგლაძე თამაზ რაფიელის ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბაგრატიშვილი გივი დავითის ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბარათაშვილი ილია ბიძინას ძე — — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბახტაძე ანდრია ბაგრატის ძე— ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

გაბადაძე თამაზ გრიგოლის ძე— ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დოლიძე ვლადიმერ ალექსანდრეს ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

ერისთავი ვიქტორ დიმიტრის ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

იაკობაშვილი სოზარ ბიძინას ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პაპავა გივი შალვას ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჟორდანია ირაკლი სერგოს ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

სამსონია შოთა ავთანდილის ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სარუხანიშვილი არჩილ ვლადიმერის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შვანგირაძე რევაზ რაჟდენის ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი

შველაშვილი არსენ ერისტოს ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჩივაძე გივი ოქროპირის ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ცაგარეიშვილი გური ბენედიქტეს ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ცაგარეიშვილი დემნა შალვას ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი

ცივაძე ასლან იუსუფის ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჰირაქაძე გიორგი გიორგის ძე— ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ხოფერია თეიმურაზ ნიკოლოზის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

ჯაფარიძე კოხტა გიორგის ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჯაფარიძე ჯონდო ივანეს ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

### ბიოლოგიის განყოფილება

#### მოლეკულური ბიოლოგია

ბერიძე თენგიზ გიორგის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

მრევლიშვილი გიორგი მიხეილის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

#### ბიოქიმია და ბიოორგანული ქიმია

ალექსიძე ნუგზარ გიორგის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გახოკიძე რამაზ აკაკის ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კარსანოვი ნიკოლოზ ვასილის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კაფიანი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

მიქელაძე დავით გიორგის ძე— ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ტყემალაძე გურამ შალვას ძე— ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ტყეშელაშვილი ლეილა კალისტრატეს ასული — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

უგრეხელიძე დევი შალვას ძე— ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქომეთიანი ზურაბ პეტრეს ძე— ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჩიკვაიძე ვალერიან ნიკოლოზის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ხაჩიძე ოთარ ტარასის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

#### ზოოლოგია

გეგეჭკორი არნოლდ მიხეილის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ელიავა ირაკლი იასონის ძე— ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მაცაბერიძე გივი ვარლამის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

მჭედლიძე გურამ ანდრიას ძე— ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ქაჯაია გია შალვას ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

### ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილება

#### ფიზიოლოგია

აბესაძე ავთანდილ იოსების ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბუთხუზი საურმაგ მიხეილის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

მაისურაძე ნინო ზაქარიას ასული — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

მითაგვარია ნოდარ პროკოფის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

მონიავა ელგუჯა სევერიანეს ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

მოსიძე ვახტანგ მიხეილის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნადარეიშვილი კიაზო შალვას ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნანეიშვილი თემურ ლეონიდეს ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ქევანიშვილი ზურაბ შამშეს ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ყოფიანი თორნიკე ისას ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

#### ექსპერიმენტული მედიცინა

ბოცვაძე ეთერი შალვას ასული — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბოჭორიშვილი ვახტანგ გაბრიელის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გაბაშვილი ვლადიმერ მიხეილის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გაბუნია უჩა ამბერკის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გერსამია გულნარა კლიმენტის ასული — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გურგენიძე გურამ ვლადიმერის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დუმბაძე გივი გრიგოლის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვასაძე გაიოზ შალვას ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვაშაკიძე ვერა ივანეს ასული — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვეფხვაძე რევაზ იასონის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ზედგინიძე ილია შალვას ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ზურაბაშვილი ზურაბ ავლიპის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კაპანაძე რევაზ ვლადიმერის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კახიანი ზაალ ნიკოლოზის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კერესელიძე თამაზ სერგოს ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კვაჭაძე იოსებ მახარობლის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კინტრაია პალიკო იასონის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კორსანტია ბორის მუშნის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მამამთავრიშვილი ოთარ გრიგოლის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მანაგაძე ლავრენტი გრიგოლის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

მაჭავარიანი შოთა სიმონის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მახარაძე შალვა კოზმანის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სვანიძე იგორ კონსტანტინეს ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ტატიშვილი ნუგზარ ირაკლის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ტვილდიანი დავით დიმიტრის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ფიფია ვახტანგ ეგნატეს ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ღიბრაძე თეიმურაზ ალექსანდრეს ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შარაშიძე ლუარსაბ კალისტრატეს ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შიოშვილი თამაზ იოსების ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ჩარკვიანი ლევან იოსების ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჩაფიძე გულნარა ემილის ასული — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჩახუნაშვილი ოთარ სერგოს ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჩხიკვიშვილი ცოტნე შალვას ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ცაგარელი ზურაბ გიორგის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჭილაია სერგო მიხეილის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჭიჭინაძე ნოდარ კონსტანტინეს ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

### სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილება

#### ნიადაგთმცოდნეობა, მელიორაცია

მოწერელია ალექსანდრე ბესარიონის ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნათიშვილი ოთარ გიორგის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნაკაიძე ედუარდ კონსტანტინეს ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

სოლომონია ოთარ გიორგის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ურუშაძე თენგიზ თედორეს ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ღლონტი გურამ გიორგის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

#### ბოტანიკა, მემცენარეობა

აიბა გივი გრიგოლის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ბადრიშვილი გივი გიორგის ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

ბერიძე რუსუდან კარპეზის ასული — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

გაგნიძე რევაზ ივანეს ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

გიგაური გიორგი ნიკოლოზის ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გოგოლიშვილი მამია ალექსის ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თურმანიძე თამაზ ივანეს ძე — გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი

კაპანაძე იოსებ სპირიდონის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კეცხოველი ელისო ნიკოლოზის ასული — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

მელაძე გიორგი გიორგის ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნასყიდაშვილი პეტრე პავლეს ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სურგულაძე შოთა მიხეილის ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქვაჩაკიძე რევაზ კონსტანტინეს ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ღვალაძე გურანდა ევგენის ასული — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ხუბუტია რუსუდან ანდრიას ასული — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

### საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

#### ფილოსოფია

ავალიანი სერგი შალვას ძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბეგიაშვილი არჩილ თედორეს ძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თევზაძე გურამ ბენიამინის ძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მამარდაშვილი მერაბ კონსტანტინეს ძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ცინცაძე გენო ვასილის ძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ჯახაია ლეონიდე გრიგოლის ძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

#### ფსიქოლოგია, სოციოლოგია

გაბიანი ანზორ ალექსანდრეს ძე —ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნადირაშვილი შოთა ალექსანდრეს ძე — ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

#### სკკპ ისტორია და მეცნიერული კომუნიზმის თეორია

გრძელიძე რევაზ კონსტანტინეს ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ირემაძე აკაკი კონსტანტინეს ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კოდუა ედუარდ ივანეს ძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლომაშვილი ფარნაოზ ნიკოლოზის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლუტიძე ბიძინა ივანეს ძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მაქაცარია გენადი ვალერიანის ძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მუჩაიძე გურამ ოთარის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნათმელაძე მაყვალა ვასილის ასული — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქვანია გრიგოლ კონდრატეს ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სტურუა დევი გიორგის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქვათაძე ელგუჯა გალაქტიონის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

შარიქაძე სავლე ერემიას ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შელია კლიმენტი ივანეს ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჭანია ვალერიან კალისტრატეს ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ჯაფარლი თეიმურაზ მამედის ძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

#### ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ხელოვნებათმცოდნეობა

აბდუშელიშვილი მალხაზ გრიგოლის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ალექსიძე ზაზა ნიკოლოზის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ალიბეგაშვილი გაიანე ვლადიმერის ასული — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

ბადრიძე შოთა აბრამის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გაფრინდაშვილი მიხეილ მალაქიას ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

გიგინეიშვილი ოთარ ისიდორეს ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

გიორგაძე გრიგოლ გრიგოლის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

გუგუშვილი ეთერი ნიკოლოზის ასული — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

ვათეიშვილი ჯუანშერ ლევანის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ზაქარაია პარმენ ფარნაოზის ძე — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

ითონიშვილი ვალერიან ჯამბულის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ინალ-იფა შალვა დენისის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

იოსელიანი ავთანდილ პავლეს ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კიკნაძე რევაზ კანდიდის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

კუპრავა არველოდ ერასტის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლომოური ნოდარ იულონის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლომსაძე შოთა ვასილის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ლორთქიფანიძე გურამ ამბროსის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მარგიანი გრიგოლ ნიკოლოზის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მაჭარაძე ვალერიან გიორგის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მენთეშაშვილი ალბერტ მიხეილის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მეტრეველი როინ ვიქტორის ძე —ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მიქელაძე თეიმურაზ კონსტანტინეს ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მუსხელიშვილი დავით ლევანის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ოჩიაური თინათინ ალექსის ასული — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

პაიჭაძე გიორგი გიორგის ძე— ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჟორდანია გივი გიორგის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სანიკიძე ლევან დავითის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სვანიძე ლევან ნიკოლოზის ძე— ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ტეხოვი ბაგრატ ბესარიონის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ფიცხელაური კონსტანტინე ნიკოლოზის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ქაჯაია ომარ შალვას ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შამილაძე ვახტანგ მამიას ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შენგელია ნოდარ ნესტორის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჩიბიროვი ლუდვიგ ალექსის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ციციშვილი ირაკლი ნიკოლოზის ძე — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

ცქიტიშვილი ოთარ ვარლამის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჭილაშვილი ლევან ალექსანდრეს ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჯაში ნიკოლოზ უშანგის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

#### ეკონომიკა და სამართალი

აბაშიძე ვახტანგ ვლადიმერის ძე — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ადეიშვილი გიორგი გიორგის ძე — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ადვაძე ვალერიან [illegible] ძე — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ალექსიძე ლევან ანდრიას ძე — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კობახიძე ემილ დავითის ძე — გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი

მარშანია ლორიკ ბესარიონის ძე — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სანთელაძე ნუგზარ ვარლამის ძე — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქარქაშაძე ნაპოლეონ ირაკლის ძე — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქორიძე დიმიტრი ანდრიას ძე— ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ღაღანიძე მამია იოსების ძე — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შავგულიძე თამაზ გრიგოლის ძე — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჩიქავა ლეო ლეონტის ძე — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ძნელაძე დავით პლატონის ძე —ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ხაბურზანია ლეო იასონის ძე— ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

ხასია ბექირბი არჩილის ძე — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჯომარჯიძე ლევან სიმონის ძე— — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჯორბენაძე სერგო მონასეს ძე — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

### ენისა და ლიტერატურის განყოფილება

#### ენათმეცნიერება

ახვლედიანი ვლადიმერ გრიგოლის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბაბუნაშვილი ელენე აკაკის ასული, — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გიგინეიშვილი ბაქარ კონას ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გიუნაშვილი ჯემშიდ შალვას ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დანელია კორნელი დავითის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნებიერიძე გივი სერგოს ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სარჯველაძე ზურაბ ალექსანდრეს ძე— ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შანიძე მზექალა აკაკის ასული — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჭკადუა ლიდია პლატონის ასული — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჭუმბურიძე ზურაბ გალაქტიონის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჯანაშია ნოდარ ნიკოლოზის ძე —ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჯაფარიძე ზურაბ ნიკოლოზის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ჯორბენაძე ბესარიონ არკადის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

#### ლიტერატურათმცოდნეობა

ალექსიძე ალექსანდრე დიმიტრის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

არველაძე ბონდო ვალერიანის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ბარამიძე რევაზ გრიგოლის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბაქანიძე ოთარ აკაკის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბუაჩიძე თენგიზ პავლეს ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გვახარია ალექსანდრე აკაკის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გორდეზიანი რისმაგ ბენიამინის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გუგუშვილი მერი ილიას ასული — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

კაკაბაძე ნოდარ მეთოდეს ძე— ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კვანჭილაშვილი ტარიელ სოლომონის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კიკნაძე ზურაბ გიორგის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მაღრაძე ელგუჯა სამუელის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

მიშველაძე რევაზ ავქსენტის ძე —ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სირაძე რევაზ გიორგის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ტაბიძე ნოდარ პროკლეს ძე— ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქავთარია მიხეილ ნოეს ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ყარალაშვილი რევაზ გიორგის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შარაძე გური სევერიანეს ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ჭოლოკავა ნოდარ დავითის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ჭუმბურიძე ჯუმბერ ნიკოლოზის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ხინთიბიძე ელგუჯა გიორგის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჯაველიძე ელიზბარ დიმიტრის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჯუსოითი ნაფი გრიგოლის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

**აქვეყნებს რა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) და წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატთა სიას, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი მიმართავს საზოგადოებრიობას თხოვნით გვაცნობონ თავისი აზრი დასახელებული კანდიდატურების შესახებ მისამართით: 380008 თბილისი, რუსთაველის პრ. 52.**

# უცხოეთში

საგძესი იუწყება 2 ივნისი

## სსრ კავშირი—აშშ:

# მიღწეულია პროგრესი, მაგრამ არის პრობლემებიც

**გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.** „როგორც ნებისმიერი ადამიანი, ვისთვისაც სულ ერთი არ არის მშვიდობის საქმე, დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოსკოვში მიმდინარე უმაღლესი დონის შეხვედრას და დიდი იმედი მაქვს, რომ იგი წარმატებით დამთავრდება", — განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა პერეს დე კუელიარმა. „ვიმედოვნებ, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — რომ საბჭოთა ხელმძღვანელის მიხეილ გორბაჩოვისა და შეერთებული შტატების პრეზიდენტის რეიგანის მოლაპარაკება ხელს შეუწყობს ყველა საერთაშორისო პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის შესაბამისი ატმოსფეროს შექმნას და კონკრეტულ შედეგებს მოგვიტანს".

**ამერიკის შეერთებული შტატები.** „ახლა კარგი შესაძლებლობაა საიმისოდ, რომ სტრატეგიული შეიარაღების თაობაზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულების შემუშავება დამთავრდეს ახლანდელი პრეზიდენტობის ვადის გასვლისათვის", — განაცხადა ენ-ბი-სი ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯ. შულცმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოსკოვის უმაღლესი დონის შეხვედრაზე მიღწეულია პროგრესი ამ მიმართულებით. „მაგრამ, — თქვა მან, — ჩვენს წინაშე რთული პრობლემებია წამოჭრილი. ამიტომ არ ვიწინასწარმეტყველებ, რომ აუცილებლად დავამთავრებთ ამ სამუშაოს. მიუხედავად ამისა, ეს შესაძლებელია, და ჩვენ უნდა შევეცადოთ ეს ვქნათ".

სსრ კავშირში მიმდინარე ცვლილებების შესახებ შთაბეჭდილებების თაობაზე კითხვის პასუხად სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ ეს მნიშვნელოვანი და საგრძნობი ცვლილებებია. საბჭოთა ადამიანები, თქვა მან, მათ განხორციელებას შეუდგნენ, რადგან დარწმუნებული არიან, რომ ეს ცვლილებები შეესაბამება მათ ინტერესებს.

„შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა მიაღწიეს პროგრესს ბირთვული შეიარაღების შემცირების შესახებ ახალი ხელშეკრულების დადების გზაზე", — წერს „ბალტიმორ სანი". „იუ-ეს-ეი ტუდეის" კორესპონდენტი განმარტავს: „პრეზიდენტი რ. რეიგანი და მ. ს. გორბაჩოვი, რომლებიც ცდილობენ მიაღწიონ პროგრესს ბირთვული იარაღის ახალი შემცირების გზაზე, მომავალს ჭვრეტენ". „ვაშინგტონ პოსტი" აღნიშნავს, რომ მოსკოვში ყოფნის დროს შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, „როგორც ჩანს, დაინახა სხვა სამყარო, ვიდრე ის იყო, რომელიც მის წარმოსახვაში არსებობდა".

ამავე დროს ამერიკის ბურჟუაზიული პრესის მასალები მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების პერსპექტივები ყველას როდი მოსწონს შეერთებულ შტატებში. „შეერთებულ შტატებში საკმაოდ არიან მოღვაწენი, და არა მარტო მემარჯვენე რესპუბლიკელთა შორის, რომლებსაც არ სურთ, რომ რ. რეიგანმა დადოს ახალი შეთანხმება სსრ კავშირთან შეიარაღებისადმი კონტროლის თაობაზე, რადგან შიშობენ, რომ იგი ძალზე ბევრს გაიღებს იმისათვის, რათა შეთანხმება დადოს ხელისუფლების სათავეში მისი ვადის გასვლისათვის", — წერს სი-ბი-ესის კორესპონდენტი.

## მხატვრის კომენტარი

**აშშ.** 1983-1988 წლებში, ამერიკელ მეცნიერთა ფედერაციის ექსპერტთა გამოანგარიშებით, „ვარსკვლავეთის ომების" პროგრამით გათვალისწინებული კვლევის, პროექტების დამუშავებისა და გამოცდებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ გამოჰყო 15 მილიარდი დოლარი. მაგრამ ეს სოლიდური თანხაც კი მიახლოებითია, ვინაიდან „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის" ფარგლებში სამუშაოთა საგრძნობი ნაწილი და მათი დაფინანსების ოდენობა საიდუმლოებით არის მოცული.

TOM DARCY




▼▼

**ნახატზე, რომელიც გაზეთ „ნიუსდეიში" (აშშ) გამოქვეყნდა, წარწერილია: ვარსკვლავეთის ომების ღირებულება. გადასახადის გადამხდელები: „ეს „ვარსკვლავეთის ომები" კი არა, უფრო შავი ხვრელია კოსმოსში".**

## კრესა კდასტურებს

□ □

# საგანგაშო ფაქტები

**ტოკიო.** სამხრეთ კორეის საშუალო სკოლების სულ ცოტა 50-მა მოსწავლემ მოიკლა თავი შარშან, იუწყება გაზეთი „კორია ჰერალდი", რომელიც იმოწმებს პოლიციისა და განათლების ოფიციალური უწყებების მონაცემებს. გაზეთი შეშფოთებით აღნიშნავს, რომ ბოლო ხანს ძლიერდება მოსწავლეთა შორის თვითმკვლელობის რიცხვის ზრდის ტენდენცია. მარტო მაისში ცნობილი გახდა თვითმკვლელობის 10 შემთხვევა, რომლებიც მეტწილად გამოწვეული იყო მოსწავლეების, განსაკუთრებით უფროსკლასელების მეტისმეტი დატვირთვით უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში შესასვლელად გამოცდებისათვის მზადების პერიოდში. „კორია ჰერალდი" აფრთხილებს, რომ მოზარდთა შორის თვითმკვლელობათა რიცხვი შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს, თუ სამხრეთ კორეის განათლების სისტემაში ცვლილებებს არ შეიტანენ.

# ფრანს პრესის სააგენტოს ცნობა

**პარიზი.** სალვადორის პრეზიდენტის ნაპოლეონ დუარტეს ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიზისულია, მისი ორგანიზმი კიბოვანი დაავადებით არის დაზიანებული. ეს ოფიციალურად გამოაცხადა სან-სალვადორში სალვადორის ვიცე-პრეზიდენტმა როდოლფო კასტილიომ.

დიაგნოზი, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო, დაადასტურეს ვაშინგტონის მახლობლად მდებარე „უოლტერ რიდის" ჰოსპიტლის ექიმებმა, სადაც გუშინ მოათავსეს დუარტე. კიბოთი დაზიანებულია კუჭი, ძვლები, ყელი და ღვიძლი.

დუარტემ სალვადორის პრეზიდენტის პოსტი დაიკავა 1984 წელს. იგი 62 წლისაა.

# გუშინ — დღეს — ხვალ

## ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

### აფთიაქში დედასთან ერთად

● **იადონების** გალობამ გვამცნო თბილისის გლდანის საცხოვრებელი მასივის მე-4 მიკრორაიონის სავაჭრო ცენტრში... აფთიაქის გახსნა. აფთიაქის შესასვლელთან კი პირველ სტუმარს შეხვდა ადამიანის სიმაღლის სათამაშო „ექიმი აიბოლიტი". საბავშვო ფონდის მონაწილეობით შექმნილი დედათა და ბავშვთა № 78 ექსპერიმენტული აფთიაქი გაიხსნა 1 ივნისს — ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს.

— შევედით ცნობისმოყვარეობის გამო დასათვალიერებლად და მოულოდნელად აღმოვჩნდით ექიმთან მიღებაზე, — კმაყოფილებით თქვა ქ. გოგოშიძემ, რომელიც სამი წლის ვაჟთან ერთად მოვიდა. — აქვე მივიღეთ მზა მიქსტურა გაციების საწინააღმდეგოდ, წინათ კი მისი შეკვეთა მიხდებოდა.

აფთიაქს დაეთმო ახალი შენობის თითქმის მთელი სართული. პროვიზორთა ოთახთან ერთად აქ გახსნილია სამედიცინო კაბინეტებიც, სადაც პაციენტებს იღებენ ოფთალმოლოგი, ორთოპედი, პედიატრი. მაგალითად, ორთოპედიულ კაბინეტში შეიძლება მივიღოთ არა მარტო კვალიფიციური კონსულტაცია, არამედ სხვადასხვა მაკორეგირებელი საშუალებაც: ადგილზე საჭირო ზომებს აიღებს საპროთეზო-ორთოპედიული ქარხნის წარმომადგენელი. შესრულებული შეკვეთა შეიძლება მივიღოთ აქ გარკვეულ ვადაში.

ფარმაცევტული და პედიატრიული ინფორმაციის კაბინეტში შეიძლება მივიღოთ ცნობები უახლესი პრეპარატების შესახებ, მათი გამოყენების რეკომენდაცია. მომსახურების დაჩქარების მიზნით აფთიაქის მუშაკებმა ბავშვთა რაიონული პოლიკლინიკის ექიმებთან ერთად შეიმუშავეს უნიფიცირებული სამკურნალწამლო ფორმები იმ რეცეპტების საფუძველზე, რომლებიც ხშირად გვხვდება. ასე რომ, წამლების ნაწილის მიღება ერთბაშად შეიძლება. წვრილშვილიან ოჯახებსა და იმ ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ ერთ წლამდე ასაკის ბავშვები, წამალს შინ უგზავნიან — აფთიაქს თავისი ავტომობილი ჰყავს.

მოულოდნელად აფთიაქის წმინდა სამედიცინო სიტუაციაში ვნახეთ დიდი სააქტო დარბაზი. იგი განკუთვნილია აფთიაქის მუშაკების მოსახლეობასთან შეხვედრებისა და პროფესიულ საკითხებზე დისკუსიებისათვის. დარბაზის გვერდით არის კიდევ ერთი ოთახი — ახალგაზრდა პროვიზორთა მომავალი საბჭოს შტაბბინა, რომელიც რესპუბლიკაში იქმნება მთავარი სააფთიაქო სამმართველოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით.

— ეს მოსახლეობის სამკურნალწამლო დახმარების სრულყოფის კიდევ ერთი ნაბიჯია. აფთიაქი სამეცნიერო მუშაობის, კვალიფიკაციის ამაღლების მეთოდიკური ცენტრიც გახდება, — აღნიშნა მთავარი საათიაქო სამმართველოს უფროსმა მ. გიორგაძემ. — პირველად მოვახერხეთ შეგვეთავსებინა თანამედროვე მოწყობილობა, საწარმოო ყოფის ხარისხიანი ორგანიზაცია, თვით მუშაკების კომფორტი და ფართო შესაძლებლობანი მომსახურების მაღალი კულტურისათვის. ყოველივე ეს აფთიაქს ეტალონურს ხდის. გვსურს გავზარდოთ პროვიზორის პროფესიის პრესტიჟი. ვინ არ იცის, რომ ამ სფეროში ნაკლებად არიან სამეცნიერო ხარისხის მქონე სპეციალისტები, უხალისოდ მოდიან აქ სამუშაოდ ახალგაზრდებიც. ის ფაქტი, რომ პროვიზორი და პედიატრი ერთად იმუშავებენ, გაზრდის მედიკოსების პასუხისმგებლობას სამკურნალწამლო საშუალებათა არჩევისა და დროულად დამზადებისათვის. ახალგაზრდა პროვიზორთა საბჭო აფთიაქის მუშაკებთან ერთად კოორდინაციას გაუწევს რესპუბლიკის საბავშვო სახლებისა და ბავშვის სახლებისადმი საშეფო დახმარებას.

აფთიაქის გახსნას ესწრებოდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. მარგველიძე.

**საბავშვო** ფონდი ფართო საზოგადოებრიობის დახმარებით თანდათან იკრებს ძალებს. აი, ეს-ესაა მიღებული დეპეშა: ზუგდიდის რაიონის სახალხო განათლების სისტემის მუშაკებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებით მოპოვებული პრემია — 14150 მანეთი გადარიცხეს საბავშვო ფონდში.

**სურათებზე:** ყველაფერი დედათა და ბავშვთათვის. საქინფორმის ფოტო.

### საქართველო-პოლონეთი: თანამშრომლობენ ფიზიოლოგები

● **პოლონელ** და ქართველ ფიზიოლოგთა თანამშრომლობის მეოხებით ნათელი მოეფინა ტვინის ერთ-ერთ საიდუმლოებას. ტვინში სისხლის მიმოქცევის რეგულირებისა და დარღვევის პროცესების კვლევისათვის სსრ კავშირისა და პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიების პრემიები მიენიჭათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის აკადემიური ცენტრის სპეციალისტებს. ახლახან მეცნიერებს ეს პრემიები გადაეცათ მოსკოვში.

— ცნობილია, რომ ტვინში სისხლის მიმოქცევის მდგომარეობა განსაზღვრავს არა მარტო ადამიანის გუნებაგანწყობილებას, არამედ მისი სიცოცხლის შანსსაც, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საბჭოთა მხარის კვლევის ხელმძღვანელმა, ტვინის სისხლის მიმოქცევის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ლაბორატორიის გამგემ, პროფესორმა გ. მჭედლიშვილმა. — ქართველ და პოლონელ მეცნიერთა კვლევას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. თუ იხელმძღვანელებენ ჩვენ მიერ მიღებული მონაცემებით, ექიმები შეძლებენ ზუსტად განსაზღვრონ ჰიპერტონიის, გულის იშემიური დაავადების, ინსულტის მიზეზები და უკვე ადრეულ სტადიაში აქტიურად უმკურნალონ.

რუბრიკისათვის გამოყენებულია საქდესის, საქინფორმისა და „კომუნისტის" კორესპონდენტთა მასალები.

## ფეხბურთი—88

# გუნდის აზრი გათვალისწინებულია

**უკანასკნელი** წლების მანძილზე რესპუბლიკის პირველი საფეხბურთო გუნდი — თბილისის „დინამო" კრიზისულ ვითარებაშია. იგი კარგავს არა მარტო საბჭოთა კავშირში პოზიციებს, არამედ დიდ საერთაშორისო ავტორიტეტსაც, რომელიც 1981 წლის გაზაფხულზე მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვებით ევროპის პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში. ყველა უკანასკნელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ იმაზე გვიხდება ფიქრი, თუ როგორ გადავარჩინოთ „დინამო" საშიშ „მორევს". არაერთხელ განხორციელებულა საგანგებო ზომები საქმის ვითარების გაუმჯობესებისათვის, იცვლებოდნენ მწვრთნელები, ფეხბურთელები, ხშირად — დიდი ჯგუფებით. მაგრამ დრო გადიოდა, დინამოელებს კი ვერა და ვერ დაეღწიათ თავი გაჭიანურებული კრიზისისათვის.

თუმცა, გასული სეზონის დამლევსა და მიმდინარე სეზონის სტარტზე გუნდის ქომაგთა გულში იმედის ნაპერწკალი გაღვივდა, მაგრამ მოულოდნელად „დინამოს" მთავარი მწვრთნელის გ. ზონინის ავადმყოფობამ კვლავ კრიზისული სიტუაცია შექმნა.

ერთ-ერთი წვრთნის დროს მას სერიოზული ტრავმა მოუვიდა. ყველაფერი იღონეს მისი მკურნალობისათვის, მაგრამ, გამოცდილ მედიკოსთა დასკვნით, საჭირო გახდა მას თავი შეეკავებინა ფიზიკური დატვირთვებისაგან. მწვრთნელმა, რომელმაც გუნდი მისთვის მძიმე დროს მიიღო და ბევრს ეცადა შექმნილი ვითარების გამოსწორებისათვის, დაწერა განცხადება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადადგომის შესახებ.

— სინანულით ვტოვებ გუნდს, — თქვა გერმან ზონინმა, — ვერ შევძელი ზორცი შემესხა ყველა ჩანაფიქრისათვის, მაგრამ მწამს, რომ „დინამოს" შეუძლია დაძლიოს კრიზისი. წარმატებას ვუსურვებ მთელ ქართულ ფეხბურთს და მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც მუშაობაში მეხმარებოდა.

ამრიგად, „დინამოს" ფეხბურთელები კვლავ, სამწუხაროდ, მთავარი მწვრთნელის შეცვლის საჭიროების წინაშე აღმოჩნდნენ.

ამჯერად მიიღეს დემოკრატიული გადაწყვეტილება: მიეცათ შესაძლებლობა გუნდის ყველა წევრისათვის ფარული კენჭისყრით გამოეთქვა თავისი აზრი ახალი მთავარი მწვრთნელის არჩევის საქმეში. მათთან ერთად ხმის უფლება მიეცათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს ი. ხარატიშვილს, თბილისის „დინამოს" გულშემატკივართა კლუბის პრეზიდენტს გ. ქავთარაძეს.

თავდაპირველად ოთხი კანდიდატი იყო: მურთაზ ხურცილავა, დავით ყიფიანი, ანატოლი ნორაკიძე და ვლადიმერ გუცაევი. მაგრამ ამ უკანასკნელმა, რომელიც ახლა გუნდის უფროსად მუშაობს, აცილება მისცა თავის კანდიდატურას, განაცხადა, რომ მას ჯერჯერობით აკლია გამოცდილება ესოდენ პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობისათვის.

დარჩენილი სამი კანდიდატურიდან ვის გაუწევდა ნდობას გუნდი, უნდა გადაეწყვიტა მას კრებას, რომელიც „დინამოს" დილის სასწავლო-საწვრთნელ ბაზაში გაიმართა. იქ მიწვეული იყვნენ რესპუბლიკის სპორტსახკომის, საქართველოს სპორტსაზოგადოება „დინამოს" საბჭოს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობდა 38 კაცი, მონაწილეობა არ მიუღიათ სულაქველიძეს, კიტაშვილს, რევიშვილს და თედეევს, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა ნაკრებ გუნდში არიან მიწვეული.

პირველ ტურს არ გამოუვლენია გამარჯვებული — ვერავინ ვერ შეძლო ხმების ნახევარზე მეტის მოგროვება: ყიფიანმა მიიღო 15 ხმა, ხურცილავამ — 12, ნორაკიძემ — 5, ერთი ბიულეტენი ბათილი გამოდგა.

## სპორტი

მეორე ტურის შედეგები, რომელშიც უკვე ორი პრეტენდენტი — ყიფიანი და ხურცილავა იყრიდნენ კენჭს, გამოაცხადა საანგარიშო კომისიის თავმჯდომარემ — გუნდის ფეხბურთელმა და პარტორგანიზაციის მდივანმა ზ. სვანაძემ. დ. ყიფიანს ხმა მისცა 28 კაცმა.

ამრიგად, სპორტის დამსახურებული ოსტატი დავით ყიფიანი ფარული კენჭისყრით დაასახელეს თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე.

გუნდის გადაწყვეტილება გაუგზავნეს საქართველოს „დინამოს" საბჭოს და რესპუბლიკის სპორტსახკომს, რომლებმაც დადგენილი წესისამებრ დაამტკიცეს იგი.

(საქინფორმი).

## მოკლედ

**ფეხბურთი.** გუშინწინ მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 2:1 (0:1). გოლები გაიტანეს ძეკანოვსკიმ, ლიტოვჩენკომ და პროტასოვმა. ეს იყო საბჭოთა გუნდის ბოლო რეპეტიცია კარს მომდგარი ევროპის ჩემპიონატის წინ.

**კალათბურთი.** გრძელდება ვაჟ კალათბურთელთა გუნდების რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინალური ტურნირი. 44 ქულით პირველ ადგილზეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი. უნივერსიტეტელებმა მორიგ ტურში ანგარიშით 74:68 დაამარცხეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები.

## მედიცინა

**ინფექციურ** დაავადებათა სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე იპყრობდა ყურადღებას და მათ წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთ უპირველეს სახელმწიფოებრივ ამოცანას წარმოადგენდა. ეს გახდა სწორედ იმის საწინდარი, რომ მასობრივი ვაქცინაციისა და სხვა ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა ჩატარების შედეგად დღეს მსოფლიოში ლიკვიდირებულია ყვავილი, აღარ გვხვდება შავი ჭირის, ქოლერის, ტიფების, პოლიომიელიტისა და სხვა ინფექციურ დაავადებათა გამანადგურებელი ეპიდემიები და პანდემიები.

საქართველოს რესპუბლიკას ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის შესანიშნავი ტრადიცია აქვს. მოკლე დროში საქართველოში ლიკვიდირებული იყო მალარია, ყვავილი, დიფთერია და სხვა ინფექციური დაავადებები, რასაც საფუძვლად დაედო თითოეული დაავადების საწინააღმდეგო ბრძოლის ერთიანი, ორგანიზებული სისტემის შექმნა.

# თვითდამშვიდებას ნუ მივეცემით

● **ცრუვდება თუ არა ინფექციურ დაავადებათა ლიკვიდაციის იმედები? ● პრობლემა უაღრესად სოციალურია, კომპლექსურად უნდა გადაწყდეს. ● გამონაკლისი არც ჩვენი რესპუბლიკაა!**

**ინფექციურ** დაავადებათა გავრცელების თანამედროვე სიტუაცია სრულებით არ იძლევა თვითდამშვიდების საფუძველს. „მიკრობთა სამყარო ევოლუციის იმავე კანონებს ემორჩილება, რასაც თვით ადამიანი" — მე-19 საუკუნეში ი. მეჩნიკოვის მიერ მოწოდებული ეს განსაზღვრება დღეს რეალურ სინამდვილედ იქცა. დროთა განმავლობაში შეიცვალა მიკროორგანიზმთა სამყარო, მოშრავლდნენ ვირუსები. შესაბამისად იცვალა სახე ინფექციურ დაავადებათა სტრუქტურამაც, გაიზარდა ვირუსული წარმოშობის ინფექციები, ბაქტერიულ-ვირუსული, ვირუსულ-ვირუსული ასოცირებული ინფექციები, გამოვლინდა ახალი დაავადებები: არბოვირუსული და როტავირუსული, ლეგიონელოზი, იერსინიოზი, შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი და სხვ. აღნიშნულმა გაართულა ინფექციურ დაავადებათა კლინიკისა და დიაგნოსტიკის საკითხები.

ინფექციურ დაავადებათა სახეცვლილების ფონზე შეიმჩნევა ქრონიკული ფორმების გაზშირება. ამავე დროს დღეს გავრცელებული ზოგიერთი ვირუსული წარმოშობის ინფექციური დაავადება ავთვისებიანი სიმსივნეების განვითარებისა და გულსისხლძარღვთა სისტემის დაზიანების წინა საწყისადაც კი ითვლება. გაზშირდა ატიპური და ე. წ. სუბკლინიკური ფორმები, რომლებსაც ისეთივე გამოსავალი აქვთ გართულებების მხრივ, როგორიც მწვავე, კლინიკური გამოხატულების მქონე ფორმებს, დაავადების სუბკლინიკური ფორმები შემპარავად, ვერაგულად გადადიან ქრონიკულ ფორმაში და შეიძლება ადამიანის ხანგრძლივი ინვალიდობისა და სიკვდილის მიზეზიც კი გახდნენ. ისიც უნდა დავძინოთ, რომ ვირუსული ინფექციების მკურნალობა და პროფილაქტიკა გაცილებით რთულ ამოცანას წარმოგვიდგენს, ვიდრე ბაქტერიული ინფექციებისა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მსოფლიოში ვირუსის საწინააღმდეგო ფართო სპექტრის სამკურნალო პრეპარატი ჯერ არ შექმნილა. ცალკეულ პრეპარატებს, რომლებიც დღემდეა მოწოდებული, მოქმედების მხოლოდ ვიწრო სპექტრი აქვთ და საერთოდ ნაკლებ ეფექტურნი არიან. ძნელდება ვაქცინების დამზადებაც.

ამრიგად, გაცრუვდა ინფექციურ დაავადებათა შემცირებისა და ლიკვიდაციის იმედები, რომელმაც ჩვენი საუკუნის 40-50-იან წლებში მოიკიდა ფეხი. დღეს მშრომელთა შრომისუუნარობის 35-40 პროცენტზე მეტი ინფექციურ დაავადებებზე მოდის. ეს ერთი მაჩვენებელიც კი სრულიად საკმარისია, რომ სწორად გავიაზროთ ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სახალხო-სამეურნეო, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა.

სამწუხაროდ ინფექციური სამსახურის თანამედროვე დონე სრულიად ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს. ეს ზემოაღნიშნული თვითდამშვიდების შედეგია, რამაც, როგორც აკადემიკოსი ვ. პოკროვსკი აღნიშნავს, ჩრდილში დააყენა ინფექციური სამსახური და ინფექციურ დაავადებებს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციაში მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა მიანიჭა. ამან პირველ რიგში უარყოფითად იმოქმედა ინფექციური სამსახურის მატერიალური ბაზის მდგომარეობაზე.

გამონაკლისი არც ჩვენი რესპუბლიკა აღმოჩნდა. დღეს რესპუბლიკაში არ არის არცერთი ტიპიური ინფექციური საავადმყოფო, რომელიც აკმაყოფილებდეს თანამედროვე სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს და აღჭურვილი იყოს საჭირო სადიაგნოსტიკო და სამკურნალო აპარატურით. ინფექციური ავადმყოფების საწოლებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი რესპუბლიკაში 46 პროცენტია, თბილისში 50-იან წლებში აშენებულმა ინფექციურმა საავადმყოფომ საწოლთა ხელოვნურად შემჭიდროვების გამო (თბილისში მოზრდილთა საწოლები არსებულ ნორმატივებთან შედარებით 7-ჯერ ნაკლებია და 1 ავადმყოფზე მოდის 3 კვმ ფართობი, ნაცვლად 7 კვადრატული მეტრისა) მთლიანად დაკარგა ტიპიური სახე. მას არა აქვს მიმღები, არ ფუნქციონირებს გამწმენდი ნაგებობები, საავადმყოფო დაძველდა, არ ხერხდება ეპიდრეჟიმის დაცვა. დაკნინდა ლაბორატორიული სამსახურიც. ფუნქციურ დიაგნოსტიკაზე კი საერთოდ ძნელი იქნება ვილაპარაკოთ, თუ აღვნიშნავთ, რომ საავადმყოფო დღემდე 1954 წელს შექმნილი რენტგენის აპარატით სარგებლობს. ღვიძლის ექოსკანერის უქონლობის გამო კი, ჰეპატიტით დაავადებულნი გამოსაკვლევად თბილისის სხვადასხვა სტაციონარში იგზავნება.

ინფექციური სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაკნინებამ გამოიწვია ინფექციურ ავადმყოფთა განთესვა სხვა თერაპიული და პედიატრიული პროფილის სტაციონარებში, რაც თავის მხრივ ინფექციურ დაავადებათა გავრცელების ხელშემწყობი მიზეზია. არაინფექციურ სტაციონარში მოთავსებული თითოეული ავადმყოფი ეპიდრეჟიმის წესების დარღვევის პირობებში (რაც ყველგან შესაძლებელია) შეიძლება გახდეს მიზეზი არა ერთი და ორი შემთხვევისა, არამედ ჯგუფური დაავადებებისაც.

თუ პოლიკლინიკურ-ამბულატორიულ ქსელს გადავხედავთ, არც აქ არის სახარბიელო მდგომარეობა. უბანზე ინფექციური სამსახური წარმოდგენილია პოლიკლინიკის ინფექციურ დაავადებათა კაბინეტით. კაბინეტის ინფექციონისტის დიაგნოსტიკურ-სამკურნალო, დისპანსერული და ორგანიზაციულ-მეთოდური მუშაობის ძირითად არსს და მიზანს, მის სამუშაო უბანზე ინფექციურ დაავადებათა შემცირება წარმოადგენს. აცრების ჩატარება პროფილაქტიკური მუშაობის მხოლოდ ნაწილია. მართლაც და თუ ექიმი დროულად დასვამს ინფექციური დაავადების დიაგნოზს, ჩაატარებს სწორ მკურნალობას, მოახდენს ავადმყოფის დროულ იზოლაციას და კერის ლიკვიდაციას, ამასთანავე მოაწესრიგებს პროფილაქტიკური აცრებისა და დისპანსერიზაციის საკითხებს, ამას შედეგად მოჰყვება მის სამუშაო უბანზე ინფექციურ დაავადებათა მნიშვნელოვანი შემცირება.

ინფექციურ დაავადებათა შემცირებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რაიონის ეპიდემიოლოგის, პოლიკლინიკის ინფექციონისტის, უბნის თერაპევტისა და პედიატრის ურთიერთშეთანხმებული მუშაობა. უბნის თერაპევტი და პედიატრი პირველად ხვდებიან მწვავე ინფექციურ ავადმყოფს. მათ დროულად უნდა ისარგებლონ ექიმ-ინფექციონისტის კონსულტაციით, თუნდაც იმიტომ, რომ დროულად და სწორად წარმართონ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. დაგვიანებული ჰოსპიტალიზაცია, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში განაპირობებს ინფექციური დაავადებით გამოწვეულ საპედიატრო გამოსავალს (განსაკუთრებით ბავშვებში) და სამწუხაროდ ჩვენში ჯერ კიდევ საკმაოდ ხშირად გვხვდება, პირველ რიგში პოლიკლინიკის ინფექციონისტის, პედიატრისა და თერაპევტის ურთიერთშეუთანხმებელი მუშაობით და დაბალი კვალიფიკაციითაა განპირობებული.

თბილისის ინფექციურ დაავადებათა კაბინეტები მოუწყობელია. ზოგიერთ პოლიკლინიკაში ინფექციონისტს სამუშაო ადგილიც არა აქვს და ინფექციონისტის როლი პოლიკლინიკაში ერთმევარად დაკნინებულია, 27 ექიმ-ინფექციონისტიდან, რომლებიც უბანზე მუშაობენ (ზოგან შეთავსებითაც კი), მხოლოდ ორს აქვს დამთავრებული კლინიკური ორდინატურა.

დღეს რესპუბლიკაში ინფექციურ დაავადებათა გავრცელების არსებული ეპიდსიტუაცია რაიონის მთავარ ექიმებს გადაუდებელ ამოცანად უსახავს პოლიკლინიკის ინფექციური კაბინეტები (რაიონში ერთ-ერთი მაინც) გადააქციონ ინფექციურ დაავადებათა საკონსულტაციო-დიაგნოსტიკურ და ორგანიზაციულ მეთოდურ ცენტრად, წესრიგში მოიყვანონ კაბინეტების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და უზრუნველყონ, რათა ინფექციურ დაავადებაზე საეჭვო ყოველ ავადმყოფს ჩაუტარდეს ინფექციონისტის კონსულტაცია, დიდი ყურადღება მიაქციონ ჰოსპიტალიზაციამდე მკურნალობას და დისპანსერიზაციას. პოლიკლინიკაში ექიმ-ინფექციონისტის როლის ამაღლება, განსაკუთრებით მისი საკონსულტაციო მუშაობის გაფართოება და ბავშვთა პოლიკლინიკებში კი ინფექციური კაბინეტების შექმნა (დღემდე არცერთ ბავშვთა პოლიკლინიკაში პედიატრ-ინფექციონისტი არ არის) მნიშვნელოვნად შეამცირებს, როგორც ინფექციურ დაავადებათა დაგვიანებულ ჰოსპიტალიზაციას, ისე მის გავრცელებას.

თუ ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დახმარება „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი ნაწილია" (ე. ი. ჩაზოვი), მაშინ ზემოაღნიშნული კომენტარს არ საჭიროებს. ინფექციურ დაავადებათა დროული და ზუსტი დიაგნოზი, რომელიც თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების შესატყვისად ლაბორატორიული და ინსტრუმენტული დიაგნოსტიკის სრულყოფას მოითხოვს, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა მთელი კომპლექსის ერთადერთი სწორი დასაწყისია და განსაზღვრავს პოლიკლინიკის პროფილაქტიკური მუშაობის მიღწევებს.

გარდაქმნის ვითარებაში ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა უდიდესი სოციალური მნიშვნელობის ამოცანაა და იგი **კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს.**

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი პარტიისა და მთავრობის ყურადღების ცენტრშია. ინფექციურ ავადმყოფთა სამედიცინო დახმარების მდგომარეობა განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა, პარტიის საბურთალოს რაიკომის ბიურომ და ჯანდაცვის სამინისტროს არაერთმა კოლეგიამ. დაისახა ინფექციური სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური სრულყოფის ღონისძიებები, მიზანშეწონილად ჩაითვალა რესპუბლიკის დიდ ქალაქებში ინფექციური სამსახურის რეგიონული ცენტრების შექმნა, დამტკიცდა ჰეპატიტების წინააღმდეგ ბრძოლისა და რესპუბლიკური კლინიკურ-ინფექციური საავადმყოფოს განვითარების გეგმა და სხვ.

დასახულ ღონისძიებათა დროულად და განუხრელად განხორციელება რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საწინდარია.

**ეთერ ბოცვაძე,**

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ინფექციურ დაავადებათა კათედრის გამგე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი ინფექციონისტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი და ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი აწყობენ სამეცნიერო სესიას თემაზე „სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისათვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია".

სესია გაიმართება 1988 წლის 3 ივნისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (რუსთაველის პრ. 29).

დასაწყისი დღის 4 საათზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლექტივი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს აკაკი გრიგოლის ძე კარანაძეს შვილის — **ვლადიმერ (ვაჟა) აკაკის ძე კარანაძის** გარდაცვალების გამო.

„კომუნისტის" დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

რედაქტორის მოადგილე **დ. იოსელიანი**

## ტელევიზია — პარასკევი, 3 ივნისი

### მოსკოვი

**პირველი პროგრამა.** 7.30 — „120 წუთი". 9.35 — მულტფილმები. 10.05 — „სახლი ნათელ მთებთან". გადაცემა ქ. ფრუნზიდან. 10.25 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ტელეფილმი „როგანი". 11.10 და 16.40 — დოკუმენტური ფილმები. 11.50 და 16.30 — ახალი ამბები. 17.30 — ხალხური მუსიკის ანსამბლის პიირილეიკის" კონცერტი. 18.00 — ახალი ამბები. 18.05 — საბავშვო გადაცემა. 18.35 — მღერის ქ. ირკუტსკის კამერული გუნდი. 19.00 — ნოვატორები და კონსერვატორები. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.05 — მოვითხოვთ სიტყვას". მწერალ ვ. ს. როზოვის გამოსვლა. 20.20 — ცეკვავს „პალაი". გადაცემა ბაქოდან. 20.50 — დოკუმენტური ფილმი „წარსული სიზმრად მეჩვენება..." 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — მხატვრული ტელეფილმი „ჩემი ძაღლი ლუსია". 0.30 — „თვალსაზრისი"

**მეორე პროგრამა.** 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — რუსულ ხალხურ სიმღერებს მღერიან ვ. ფტომენკო და ი. დუდონოვი. 19.45 და 12.45 — ინგლისური ენა. 10.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 11.00 — უკრავს მ. კუგელი (ალტი). 11.30 — ფილმი — ბავშვებს. „ჩემი გენერალი". II სერია. 13.05 — ახალი ამბები. 13.10 — მხატვრული ფილმი „საბაყო". 14.25 — მელიორაციის დღისათვის. დოკუმენტური ტელეფილმი. 14.55 — გაზმეორებით ტელეფილმის დღის სეანსი „იყავ მხიარული". III სერია. 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — კიევის ლ. რევუცკის სახელობის ვაჟთა საგუნდო კაპელის კონცერტი. 19.40 — დოკუმენტური ფილმი. 20.00 — ი. ბრამსი. № 2 სიმფონია 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — ეს თქვენ შეგიძლიათ. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — დოკუმენტური ფილმის ეკრანი. „ფიქრები მრავინსკიზე". 0.05 — ველორბოლა. 0.20 — ახალი ამბები. 0.30 — ჩოგბურთი.

### თბილისი

**პირველი პროგრამა.** 11.50 — მოსწავლეთა ზაფხული არდადეგების გამო. საუმაწვილო სატელევიზიო კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „პატარა ჯადოქარი". 13.00 — „ნამუდლევს". 13.50 — „თოლეიზმი". 14. 20 — ფიზიკის ტელეკურსი 14.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „შეხვედრები არქტიკაში". 15.40 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.50 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.00 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.30 — „ჯადოსნური ეკრანი". 16.50 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა". 17.00 — მოსწავლეთათვის. ინსტრუმენტული მუსიკის კონცერტი. 17.30 — ახალგაზრდობისათვის. შეხვედრა. 17.45 — მულტფანტაზია. 18.15 — ხალხური შემოქმედება-კონცერტი. 18.55 — ლიტერატურული თეატრი — სალტიკოვ-შჩედრინი. 20.00 — მოამბე. 20.35 — XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის შესახებ დ რ ა დ. პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. გულახდილი რომ ვიყოთ. 21.25 — კონცერტი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი". 22.50 — საქართველოს სანოსნო ცისფერ გზებზე. 22.55 — გორის საგუნდო მუსიკის ფესტივალი.

**მეორე პროგრამა.** 17.55 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.35 — მხატვრული ფილმი „ფრთების გაშლა". 20.00 — მოამბე. 20.35 — ცენტრალური ტელევიზიის გადაცემით ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა.

**საკორესპონდენტო პუნქტები:**

სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-38; რუსთავი — 14-27-87; გორი — 2-33-10; სამტრედია — 2-19-90; ზუგდიდი—2-28-40; ტყიბული — 5-56-36; თელავი—3-12-09; მახარაძე — 6-34-44; ახალციხე — 25-82.

**რედაქციის მისამართი:** 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14

**ტელეფონები:** ცნობებისათვის — 93-95-54 მშრომელთა წერილების განყოფილება — 99-73-24

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 05373 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. სასაზეთო ქაღალდი, ხუთჰაკულ 20. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14